ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 10 – 11 ივნისი, 2017

№136 (7371)

ფასი: 50 თეთრი

კახა ოქრიაშვილი და მაჟორიტარები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ

გვ.2

9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„ნიკა გვარამიას „ევროპული საქართველო“ კარს არ დაუხურავს“

გვ.2

დავით დარჩიაშვილი: „გვარამიას მიმართ გულგრილი არავინ იქნება“

პოლიტიკოსობა ახ ახის სპეციალური ჰოფესია, ჰომელსაც განსაკუთრებული, წინასწარი განათლების მიღება სჭიდება. პოლიტიკური აღლოსთვის სულ სხვა ჰაღაც ახის საჭიროო. ყველას შეუძლია ცადოს, მაგრამ, მე ვფიქრობ, ჰომ უდუმაშვილი თავის ამპლუაში უფრო წარმატებულია. თუმცა, მე ჰას ვფიქრობ, ეს სხვა საკითხია.

დეკანოზი გიორგი მამალაძე საპატრიარქოს იურისტისგან 50.000 ლარს ითხოვს

გვ.5

„მოვიძიეთ დოკუმენტი, სადაც პატრიარქის გაცემული მინდობილობაა იმ ქველმოქმედებაზე, ჰომელსაც დეკანოზი ედგა სათავეში. გრანტები და ინვესტიციები ტრინიტებს უნდა მოხმარებოდა. ქარჩავა აცხადებდა, ჰომ საჩგებელს ეღოდა დეკანოზი, ეს არის სიცრუე, ეს არის ღრისების შეღახვა. არ შეიძლება ასეთი ციდისნამება და უარგუმენტოდ საუბარი"

რომან გოცირიძე: „ქართული ოცნებისთვის“ მთავარია ივანიშვილის აზრი და არა – ვენეციის კომისიის დასკვნა“

გვ.4

„ბანკებს განსხვავებული პროფილის კომპანიებში პირდაპირ თუ ირიბად ინვესტირება აეკრძალებათ“

გვ.6

ISSN 1987-9385

„30 წელიწადში საქართველოს წყლის სერიოზული დეფიციტი ექნება“

გვ.3

აფხაზეთში ისლამური სახელმწიფოს 5 მხარდამჭერი დააკავეს

გვ.3

„ნიკა გვარამიას „ევროპული საქართველო“ კარს არ დაუხურავს“

დავით დარჩიაშვილი: „გვარამიას მიმართ გულგრილი არავინ იქნება“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ჩუსთავი 2“-ში განვითარებული მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, რუსთავი 2“-ში განვითარებულ მოვლენებზე რა კომენტარს გააკეთებთ?

– რა გითხრათ, ვერაფერს გეტყვით, რადგან არსებითი ინფორმაცია არ მაქვს.

– გავრცელებული ინფორმაციით, ნიკა გვარამია პოლიტიკაში მიდის.

– გამოჩნდება, ვნახოთ, წავა თუ არა პოლიტიკაში.

– არადა, ინფორმაცია გავრცელდა, რომ სწორედ იმ პარტიაში მიდის, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, „ევროპულ საქართველოში“. ასე რომ განვითარდეს მოვლენები, რა რეაქცია გექნებათ?

– ადამიანები თავიანთ არჩევანში თავისუფალნი არიან. თვითონ ნიკა გვარამიამ უნდა დაადასტუროს თავისი მომავალი გეგმები, რას აპირებს. ამაზე თავად უნდა ისაუბროს, მე არ ვარ უფლებამოსილი. ისე, პარტიის კარი ყველასთვის ღიაა.

– გვარამია შენაძენი იქნება თქვენი პარტიისთვის?

– მე მგონი, ძალიან ნიჭიერი ადამიანია. არავინ მის მიმართ გულგრილი არ იქნება. ზოგს უყვარს, ზოგს არ უყვარს, გააჩნია, რა პოლიტიკური სიმპათიები ან ანტიპათიები აქვთ. უდავოდ ნიჭიერი ადამიანია, თანაც ასაკიც არ უშლის ხელს, რომ წარმატებული

იყოს პოლიტიკაში.

– ის უკვე იყო პოლიტიკაში.

– „ევროპული საქართველო“ არავის, მით უმეტეს ნიკას, არ დაუხურავს კარს. ნიკა გვარამიას აღმოაჩნდა საკმაოდ სერიოზული უნარი, რომ ბევრი რამე გადაეფასებინა, ბევრი რამისთვის ახლებურად შეეხედა და თავისი თავი ახალ ამპლუაში ეპოვა. ეს უნარები მას პოლიტიკაში დაბრუნებაშიც დაეხმარება. დანარჩენი მისი გადასაწყვეტია. მე მგონია, რომ მას პოტენციალი გააჩნია.

– „ევროპული საქართველოდან“ შეთავაზება მიიღო?

– არა მგონია, შეთავაზებაზე იყოს საუბარი. ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რა და როგორ.

– გავრცელებული ხმებით, რუსთავი 2“-ში მოვლენები მას შემდეგ განვითარდა, რაც გვარამია უკრაინაში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა და სააკაშვილმა მას პრეტენზიები წაუყენა, რომ ტელეკომპანია უფრო მეტ სიმპათიებს „ევროპული საქართველოს“ მიმართ გამოხატავს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

– ამის შესახებ უნდა ისაუბრონ, ერთი მხრივ, ნიკა გვარამიამ და, მეორე მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა, იყო მათ შორის მსგავსი საუბარი თუ არა.

– თუმცა ბოლოდროინდელი რუსთავი 2 უფრო აქცენტირებულია „ევროპული საქართველოს“ აქტივობების მიმართ, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

– ვინ დაადასტურა ეს ან ვინ ჩაატარა ეს კვლევები. მე ზოგჯერ მეჩვენება, რომ ნაციონალური მოძრაობა საკმაოდაც არის წარმოდგენილი რუსთავი 2-ზე. ვერ ვხედავ რაიმე განსაკუთრებულ მიკერძოებულობას „ევროპული საქართველოს“ მიმართ. თუ ვინმე ასე ხედავს, ეს მან უნდა თქვას და დაასაბუთოს კიდეც.

– რუსთავი 2-ში განვითარებული მოვლენები მხოლოდ სასამართლო დავას უკავშირდება თუ პოლიტიკური მდგენელიც მოქმედებს? რამდენად დიდია პოლიტიკური გავლენები ამ ყველაფერზე?

– პირველი და უმთავრესი ის სასამართლო დავაა, რომელიც მიმდინარეობს. პირველ რიგში, პოლიტიკა იქ არის გამოკვეთილი. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ხალვაშის მოქმედება იქ იყო პოლიტიკოსების ნებასურვილით განპირობებული. თავიდანვეც ასე იყო და ახლაც ასეა. წმინდა მედიასიყვარულით ან თუნდაც მერკანტილური, კომერციული უსამართლობის განცდით არ იყო ნაკარნახევი. ხალვაში პოლიტიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე მოქმედებს, ამ შემთხვევაში – ბიძინა ივანიშვილის სურვილისამებრ. ეს არის პოლიტიკა.

– სააკაშვილის პოლიტიკურ მოთხოვნებს სრულად გამორიცხავთ? ასეთი მოსაზრებაც არის, რომ რუსთავი 2 ვერ გაიყვეს სააკაშვილმა და ბოკერიამ.

– გიგა ბოკერიას რა წილი შეიძლება ჰქონდეს? ეს ახალია. სააკაშვილს დღენიადაგ აბრალებენ, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მინახავს. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ გვარამიას გარკვეული სიმპათიები აქვს ან არ აქვს ბოკერიას მიმართ, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს აქვს სიმპათია ან ანტიპათია. თუმცა, ის, რომ ბოკერიასი იყო რუსთავი 2, სიახლეა.

– სწორედ ამ სიმპათიებზეა საუბარი.

– გასაგებია, მაგრამ მე არ ვიცი ამ სიმპათიის შესახებ.

– ზაალ უდუმაშვილმა თუ კენჭი იყარა თბილისის მერის პოსტზე, ამ გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებთ?

– თუ ფინანსური კრიზისი იყო რუსთავი 2“-ში, ასევე ამას დაემატება მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური, იდეური უთანხმოება და მაინც უნდა წასულიყო, მაშინ გასაგებია. სხვა მხრივ ეს ადამიანი ჩემთვის, პირველ რიგში, ჟურნალისტია. რომ გითხრათ, დიდი მოწონებით ვუყურებ ჟურნალისტების პოლიტიკაში წასვლას, ასე ნამდვილად არ არის, თუმცა ეს ყველაფერი თავად ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. შეიძლება წარმატებული პოლიტიკოსი აღმოჩნდეს.

პოლიტიკოსობა არ არის სპეციალური პროფესია, რომელსაც განსაკუთრებული, წინასწარი განათლების მიღება სჭირდება. პოლიტიკური ალღოსთვის სულ სხვა რაღაც არის საჭირო. ყველას შეუძლია ცადოს, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ უდუმაშვილი თავის ამპლუაში უფრო წარმატებულია. თუმცა, მე რას ვფიქრობ, ეს სხვა საკითხია.

ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი გამგეობას ყოველ წელს 40.000 ლარის ჩარიცხვას სთხოვს

– ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტის მიერ 2015, 2016 და 2017 წლებში ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის გაგზავნილ წერილებში მოთხოვნები იდენტურია, კერძოდ, მიტროპოლიტი ყოველ წერილში 40.000 ლარის ოდენობის თანხის გამოყოფას ითხოვს, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ კვლევაში, რომლის თანახმად, ვანის რაიონის მუნიციპალიტეტმა 2013 წელს 45 ათასი, 2014-2015-2017 წლებში ვანი-ბაღდათის ეპარქიას 40 ათასი ლარი გადაურიცხა, ხოლო 2016 წელს 50 000 ლარი.

– ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ა(ა)იპ ვანისა და ბაღდათის ეპარქიის განვითარების ფონდს 2013 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 20 მარტის ჩათვლით 215.000 ლარი გამოუყო. ფონდი თავად ეპარქიის მიტროპოლიტმა ანტონმა (მარკოზ ბულიხიამ) 2010 წელს დაარსა.

მიტროპოლიტი თანხის გამოყოფას ვანის ოლქში მდებარე ეკლესია-მონასტრების და მღვდელმთავრის რეზიდენციაში მიმდინარე სამუშაოების საჭიროებებისა და რელიგიური ღონისძიებებისათვის ითხოვს.

თუმცა მოთხოვნას თან არ ერთვის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. მუნიციპალიტეტის მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთვის“ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ რელიგიური ორგანიზაციებისათვის გამოსაკვლევ პერიოდში ქონება არ გადაუციათ, ხოლო რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით გახარჯულ თანხებზე წერილში არავითარი მითითება არ არის გაკეთებული, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიშში.

კახა ოქრიაშვილი და მაჟორიტარები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

ვენეციის კომისიის დასკვნით თავზარდაცემულ „ქართულ ოცნებას“ გუნდის შიგნითაც შეექმნა პრობლემები. საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე პარტიამ შესაძლოა კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭირო ხმები ვეღარ მოაგროვოს. მაჟორიტარი დეპუტატები, მხარდაჭერის სანაცვლოდ, ხელშეუხებლობას ითხოვენ.

მმართველი გუნდი მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას აპირებს. პროპორციულ სისტემაზე ჯერ კიდევ 2016 წლის არჩევნებისთვის უნდა გადავსულიყავით, მაგრამ მაშინ მაჟორიტარმა დეპუტატებმა ნამდვილი ამბოხება მოაწყვეს. მათი ნაწილი პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის, გადაყენებითაც კი დაიმუქრა.

მათი დიდი ნაწილი დღეს ისევ პარლამენტშია და ახლა ახალი ძალით დაიწყეს თავისი უფლებების დაცვა.

მაჟორიტარების სახელით განცხადება მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ოქრიაშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, მაჟორიტარული სისტემა უნდა შენარჩუნდეს. როგორც პარლამენტში ამბობენ, მან ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოები ჩაატარა და მხარდამჭერებიც შეიძინა. რამდენიმე ათეული მაჟორიტარი საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერაზე უარს ამბობს.

არასაპარლამენტო ოპოზიცია უკვე კარგა ხანია ამტკიცებს, რომ „ოცნება“ ცვლილებების მხარდასაჭერად ოპოზიციას ევაჭრება.

მაჟორიტარების ფრონტზე რომ საქმე მძიმედ არის, ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადებაც მეტყველებს. რამდენიმე დღის წინ ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ თუ მაჟორიტარული სისტემა არ შეიცვლება, ის გადადგება.

ამ განცხადების შემდეგ დმანისის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ოქრიაშვილმა მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებას 75 დეპუტატი უჭერს მხარს.

ამ 75 კანონმდებლიდან რამდენი აპირებს ბოლომდე ბრძოლას, ეს ჯერ ცნობილი არაა. ოქრიაშვილი ღიად ამბობს, რომ ცვლილებებს მხარს არ დაუჭერს.

მისივე განმარტებით, ვენეციის კომისიის დასკვნის გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ეს სისტემა არ უნდა შეიცვალოს. კანონმდებლის მტკიცებით, დასკვნაში არსად წერია, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმდეს.

– ვენეციის კომისია მხარს არ უჭერს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას, მე ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ცვლილებებს მხარს არ დავუჭერ, თუ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება შევა, სხვა დანარჩენში ვეთანხმები უმრავლესობას, – აცხადებს ოქრიაშვილი ჟურნალისტებთან საუბარში.

ოპოზიციის ნაწილს არ სჯერა, რომ ეს თავად ოქრიაშვილის ინიციატივაა. ისინი ვარაუდობენ, რომ მას ეს ინიციატივა ზევიდან გააჟღერებინეს. ამის სურვილი, რა თქმა უნდა, მასაც ჰქონდა, მაგრამ ივანიშვილის ნებართვის გარეშე ამდენს ვერ გაბედავდა. სხვა თუ არაფერი, კახა ოქრიაშვილის წინააღმდეგ საქმეც არის აღძრული და მის დასაშოშმინებლად ამ საქმეს გამოიყენებდნენ.

დემოკრატიული მოძრაობის წევრი, ყოფილი დეპუტატი გიორგი ახვლედიანი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ მაჟორიტარების თემა ოპოზიციასთან სავაჭროდ შემოაგდო.

მისი ინფორმაციით, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს 10-15 მაჟორიტარი არ უჭერს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

აფხაზეთში ისლამური სახელმწიფოს 5 მხარდამჭერი დააკავეს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში დაკავებულ 5 პირს ისლამური სახელმწიფოს მხარდაჭერა ბრალდება.

ტაჯიკეთიდან ჩამოსული ისლამისტების დასაკავებლად აფხაზეთში სპეცოპერაცია რუსეთის უშიშროების სამსახურმა ადგილობრივებთან ერთად ჩაატარა. დაკავებულები რუსეთში გადაიყვანეს. მანამდე სპეცოპერაცია ჩატარდა ტვერში, სადაც აიყვანეს ტერორისტების დაფინანსებაში ეჭვმიტანილი შუაზიელები.

ისლამური სახელმწიფოს ტერორისტების მიერ შექმნილი ფორმირების დედაქალაქ რაქაში ინტენსიური ბრძოლები გრძელდება. ბრძოლებში მონაწილეობენ კოალიციური შენაერთები აშშ-ის მეთაურობით, ასევე სირიის დემოკრატიული ძალები და ქურთების რაზმები. ისლამურ სახელმწიფოს ასევე ებრძვის სირიის ლიდერი ბაშარ ასადი რუსეთთან და ირანთან ერთად.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ რაქას დაკარგვით ისლამისტების ხალიფატი დასრულდება, თუმცა ეს არ ნიშნავს ტერორიზმის დამარცხებასა და სირიის კრიზისის დაძლევას. რადიკალი ისლამისტები თავიანთ საქმეს ბრძოლის ველიდან მოშორებით გააგრძელებენ. ზოგიერთი მათგანი სამშობლოში დაბრუნდება, ზოგი სხვა ქვეყანაში მოაწყობს ტერორისტულ აქტებს.

8 ივნისს ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებმა ახალი განცხადება გაავრცელეს. მათ მოუწოდეს ისლამის მიმდევრებს, მოერიდონ მასობრივი თავშეყრის ადგილებს, სადაც ისინი ანგარიშსწორებას მოაწყობენ. ამჯერად საუბარია აშშ-ზე, რუსეთზე, დიდ ბრიტანეთზე, საფრანგეთზე, კანადაზე, იტალიასა და ავსტრალიაზე.

დიდი ბრიტანეთი ტერორისტების სამიზნე 3 ივნისსაც გახდა. სამმა მათგანმა ჯერ მანქანა დააჯახა ხალხის ჯგუფს, შემდეგ კი მოქალაქეებს თავს დანებით დაესხა. ამას 7 გამვლელი ემსხვერპლა, 48 კაცი ჰოსპიტალში მოხვდა.

სკოტლანდ-იარდმა გამოაქვეყნა ორი თავდამსხმელის ვინაობა. ერთი მათგანი, გვარად ბატი, წარმოშობით პაკისტანიდანაა და ბრიტანეთის მოქალაქეა. მეორე, გვარად რედანი, თავს ხან მაროკოელად ასაღებდა და ხან – ლიბიელად.

ცნობილი გახდა, რომ ლონდონელი ტერორისტები ბავშვებთანაც მუშაობდნენ და ადგილობრივი არასრულწლოვნების ტერორიზმში ჩათრევას ცდილობდნენ.

ამგვარი ტენდენცია რამდენიმე თვის წინ ჩეჩნეთშიც გამოავლინეს. გაირკვა, რომ თუ წინათ ხალიფატი გაჭირვებულ და არარეალიზებულ ახალგაზრდებს იზიდავდა, ბოლო დროს მისი იდეოლოგიით შეძლებულებიც დაინტერესდნენ, მომხრეთა რიგები კი არასრულწლოვნებით გაივსო.

გაეროს უშიშროების საბჭოს მონაცემებით, ისლამურ სახელმწიფოში 12 ათასიდან 20 ათასამდე მებრძოლია. მათი რაოდენობა 2015 წლის შემდეგ შემცირდა. ახალი წევრების მიღება შენელდა.

გაეროს უშიშროების საბჭოს განცხადებით, ამჟამად მსოფლიო უსაფრთხოებას პრობლემები ექმნება მებრძოლების თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებითა და კონფლიქტის ზონიდან სხვა რეგიონებში გადანაცვლებით.

ისლამური სახელმწიფოს დაფინანსება კრიტიკულ დონეზეა. ტერორისტები კვლავინდებურად იღებენ მოგებას ნავთობის უკანონო გაყიდვისა და გამოძალვის საშუალებით. თვითგამოცხადებული ხალიფატის ხელში მილიონობით დოლარია. 2015 წელს ისლამური სახელმწიფოს ნადავლი თვეში 500 მილიონ დოლარს შეადგენდა.

„30 წელიწადში საქართველოს წყლის სერიოზული დეფიციტი ექნება“

ამ დღეებში სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, 2 ჰესის მშენებლობა დაიწყო. მათი სახელწოდებაა – „მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“.

ამ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“ ახორციელებს. ჰესების მშენებლობას ჩვენი საზოგადოების ნაწილი უარყოფითად აფასებს, თუმცა ენერგეტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი ჰესების გარეშე ჩვენ არ გვექნება მზარდი ეკონომიკა და ქვეყანა სათანადოდ ვერ განვითარდება. ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორ მირონ ფირცხელანის თქმით, საქართველოში ჰესების მშენებლობა გარდაუვალი და აუცილებელი პროცესია.

– ახლა უნდა ვიზრუნოთ, როგორ მივიღოთ უსაფრთხო ელექტროენერგია. ჩემი აზრით, მცირე და საშუალო ჰესების აგება ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ოპტიმალური და საუკეთესო გზაა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ჰესის მშენებლობისას ეკოლოგიურ ნორმებსაც დაიცავენ და ყველაფერი მოსახლეობასთან იქნება შეჯერებული. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ენერგიის დეფიციტი აქვს, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ჩვენი ჰიდრორესურსი ბოლომდე აითვისოს. პირველ რიგში საქართველოს მოქალაქეებს უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ამ საქმეში ჩაერთონ. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ ენერგეტიკა განვითარდეს და ამით საქართველოს მოქალაქეებმა მაქსიმალური მოგება მიიღონ, – აღნიშნავს მირონ ფირცხელანი.

მისი შეფასებით, ჩვენი მოსახლეობა ელექტროენერგიას შეღავათიან ფასში მხოლოდ მაშინ მიიღებს, როცა ბაზარზე ჭარბი ელექტროენერგია გაჩნდება.

– დღეს ჩვენ ელექტროენერგიის დეფიციტი გვაქვს, ამას ხელს უწყობს ჩინოვნიკთა ინტერესები და ის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არის მონოპოლიური ბაზარი, რაც ჩვენი უპირველესი პრობლემაა.

მხოლოდ 2 კომპანიას აქვს უფლება ელექტროენერგია გაყიდოს. ადამიანი ჩადებს ამ საქმეში ფულს, დიდი გაჭირვებით ააშენებს ელექტროსადგურს და როცა რეალიზაციას დაიწყებს, ხედავს, რომ გასაღების ბაზარი უკვე დაკავებულია.

ეს ძალიან დიდი დაბრკოლებაა მეწარმეებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მცირე და საშუალო ჰესები ააგონ.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოს ბუნება ასეთ ჰესებს უფრო აიტანს. ყველაზე იაფი რესურსი, რომელიც საქართველოს აქვს, არის წყალი, არადა, ამ რესურსის გამოყენების კოეფიციენტი 10-15%-ს არ აღემატება. ეს კი, ძალიან ცუდი მაჩვენებელია, – აღნიშნავს მირონ ფირცხელანი.

რადიკალურად განსხვავებულად აფასებს ამ საკითხს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერი ნინო ჩხობაძე.

– არასწორია შეხედულება, რომ საქართველო ჰიდრორესურსით ძალიან მდიდარი ქვეყანაა. ბოლო კვლევების მიხედვით, დაახლოებით 30 წლის მერე, ჩვენ სერიოზული წყლის დეფიციტი გვექნება, რის გამოც ამ რესურსს ვერ დავეყრდნობით.

მთელი მსოფლიო სულ სხვა ენერგიის წყაროებზეა გადასული, ყველგან ძალიან სწრაფად და იაფად შემოდის მზის ენერგია, ამიტომ, ჰესებზე კი არა, აბსოლუტურად სხვა კონცეფციაზე უნდა ვიმუშაოთ.

რაც შეეხება მესტიის ჭალაში 2 ჰესის მშენებლობას, იქაური მოსახლეობა ამტკიცებს, რომ იმ ადგილებში ჰესის აშენებამ შეიძლება კატასტროფული მოვლენები გამოიწვიოს.

ჩვენ ახლა ვაკვირდებით ამ პროცესს და დოკუმენტს, რომელზეც ნებართვა გაიცა, იქ რაღაც პირობები იყო წაყენებული და ეს პირობები აუცილებლად უნდა შესრულდეს. ეს არ არის დიდი ჰესები და თავის დროზე იმხელა ყურადღება არ მიგვიქცევია, რამდენსაც დიდ ჰესებს ვაქცევთ, მაგრამ თუ ამ ჰესებზე აუცილებელი პირობები არ არის შესრულებული, ყველაფერს ხმამაღლა ვიტყვით, – ამბობს ნინო ჩხობაძე.

„საქართველოს მომავლის პროექტის“ პრეზიდენტი ვახტანგ ლომჯარია კი მესტიაში მიმდინარე პროექტს დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ საქართველოს რაც შეიძლება მეტი ჰესი სჭირდება.

– ჩვენ რაც შეიძლება მეტი ჰესი გვჭირდება, რადგან მსოფლიოში და საქართველოშიც, ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ამის გარეშე წარმოუდგენელია. წინაადმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევს იმპორტის კიდევ უფრო გაზრდა, რაც ყველაზე დიდი საფრთხეა საქართველოს ეკონომიკისთვის.

ახალ ჰესებს თუ არ დავამატებთ, მომავალში სერიოზული პრობლემა შეგვექმნება. მით უმეტეს, რომ თურქეთსა და რუსეთში უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში სერიოზულად გაიზრდება მოთხოვნა ელექტროენერგიაზე. ეს ჩვენთვის კარგი შანსია: უნდა შევძლოთ, რომ მათი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე გამოვიყენოთ და ჩვენი უარყოფითი სალდო როგორმე დავაბალანსოთ. უარყოფითი სავაჭრო სალდო ჩვენთვის ყველაზე დიდი მტერია – ამას ქართველი ექსპერტებიც აღიარებენ და უცხოელებიც, – ამბობს „საქართველოს მომავლის პროექტის“ პრეზიდენტი.

ვახტანგ ლომჯარიას თქმით, არა მარტო მესტიაში, არამედ ყველგან, სადაც ახალი ჰესი აშენდება, პროექტის ავტორებმა და მშენებლებმა უნდა იზრუნონ, რომ გარემოს ნაკლები ზიანი მიაყენონ.

– ჰიდრორესურსი ენერგიის განახლებადი წყაროა, ახალი ჰესის მშენებლობას მცირეოდენი რისკი ყოველთვის ახლავს, მაგრამ დადებითი შედეგი უფრო მეტია.

რა თქმა უნდა, წყლის ენერგიის ალტერნატივაც არსებობს მზისა და ქარის ენერგიის სახით. მათ გამოყენებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია, მაგრამ საქართველოს ჰიდროენერგიის ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს.

როდესაც ამ საკითხზე კამათობენ, მე სულ ვამბობ: ერთი წუთით წარმოიდგინეთ ქართული ენერგოსისტემა ენგურჰესის გარეშე, მის გარეშე რამდენიმე ათეული წლით უკან ვიქნებოდით. ამიტომ, ჰესების მშენებლობის დადებითი და უარყოფითი ასპექტები კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ და ჩვენი ქვეყნის მომავალი ამის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ, – აღნიშნავს ვახტანგ ლომჯარია.

პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ამოქმედება ავტომობილების დაზღვევასაც წაახალისებს

– დღეს საქართველოში ადამიანები ავტოდაზღვევით ნაკლებად სარგებლობენ. ამის შესახებ სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თინა სტამბოლიშვილმა „კომერსანტთან“ საუბარში განაცხადა. მისი ინფორმაციით, საქართველოში რომ ავტოპარკის 80 პროცენტი სადაზღვევო კომპანიებისთვის მომხიბვლელი არ არის, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

მისი ინფორმაციით, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ 15 წლის ავტომანქანებს აზღვევს, თუმცა ამ სეგმენტშიც კი ძალიან დიდი პოტენციალია დარჩენილი. მისი თქმით, ადამიანები ავტოდაზღვევით ნაკლებად სარგებლობენ.

– ქვეყანაში ამის კულტურა არ არსებობს. გარდა ამისა, ჩვენს კომპანიას აქვს პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომლის ფარგლებშიც კლიენტს შეუძლია მანქანის დაზღვევის გარეშე შეიძინოს პასუხისმგებლობის დაზღვევა. ასეთ შემთხვევას ვანაზღაურებთ 5.000 ლარის ფარგლებში და ეს ღირს თვეში 5 ლარი. აი, ამასაც არ ყიდულობენ, – აცხადებს სტამბოლიშვილი.

მისი თქმით, ავტომობილის დაზღვევა შედარებით ძვირია, თუმცა, არსებობს შესაძლებლობა, რომ სადაზღვევო კომპანიებმა მასიური შეთავაზებები გააკეთონ. სტამბოლიშვილი განმარტავს, რომ დაზღვევის კულტურის არარსებობის გამო ავტოდაზღვევაზე დაინტერესება საკმაოდ დაბალია. „აქ კი ერთადერთი ბერკეტი პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევაა, რომელიც ავტომობილების დაზღვევასაც წაახალისებს“.

სტამბოლიშვილი ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საქართველოში ავტოპარკი საკმაოდ ძველია და პირველი მიზეზია ჰაერის დაბინძურების.

– ჩვენ კამპანიაც გვქონდა შარშან და შარშანწინ. დაზღვევა უკეთეს ფასად შევთავაზეთ იმ ავტომობილებს, რომლებიც ნაკლებ საწვავს მოიხმარენ, ძრავის ნაკლები კუბატურა აქვთ და გარემოს ნაკლებად აბინძურებენ. სადაზღვევო სექტორს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს წახალისების სისტემაში, ეს კი ავტოპარკის გაახალგაზრდავებას შეუწყობს ხელს. მოვუწოდებთ სხვა კომპანიებს და მთავრობასაც, რომ უფრო მეტი გააკეთონ ახალი მანქანების წახალისებისთვის, – აცხადებს სტამბოლიშვილი.

სადაზღვევო კომპანია „არდიში“ აცხადებენ, რომ ავტოტრანსპორტის დაზღვევისას ასაკს ყურადღებას ექცევა იმდენად, რამდენადაც ის გავლენას ახდენს სადაზღვევო ტარიფზე. თუმცა, მათივე მტკიცებით, ასაკის გარდა ასევე მნიშვნელობა ენიჭება მძღოლის ასაკს, სადაზღვევო ისტორიას, არჩეულ სადაზღვევო დაფარვას და სხვა პარამეტრებს.

კომპანიაში აცხადებენ, რომ მანქანის ასაკი არის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი კრიტერიუმი ფასწარმოქნისას.

შეგახსენებთ, „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოში ავტოპარკის 80 პროცენტი სადაზღვევო კომპანიებისთვის მომხიბვლელი არ არის. როგორც მესხიშვილი განმარტავს, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც განაახლებს საავტომობილო პარკს. დღეს არსებული

ავტოპარკი მოძველებულია და განბაჟების არსებული სისტემა კი არ არის მისი განახლებისკენ მიმართული.

– დღეს სადაზღვევო კომპანიები არ ფიქრობენ და არც სურვილი აქვთ, რომ დააზღვიონ 20 წელზე უფრო ასაკოვანი ავტომობილები. ასეთი ავტომობილები წარმოადგენენ რისკს ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენის თვალსაზრისით. ეს რისკი მაღალია ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილის შემთხვევაში, – აცხადებს მესხიშვილი.

მისი ინფორმაციით, დღეს ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულია დაახლოებით 1.2-1.5 მილიონამდე ავტომანქანა, საიდანაც 450.000 20 წელზე მეტი ასაკისაა, 450.000 ათასი კი 10 წელზე მეტი. მესხიშვილის განცხადებით, 0-3 წლამდე ავტომობილების რიცხვი ქვეყანაში მხოლოდ 70.000-ია.

– სწორედ ეს არის ის ავტომანქანები, რომელთა დაზღვევაც სადაზღვევო კომპანიებს უნდათ, – აცხადებს მესხიშვილი.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკით, საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილიდან დაზღვეული მხოლოდ 4,3%-ია.

მათი ინფორმაციით, 2017 წლის პირველ კვარტალში დაზღვეული იყო მხოლოდ 56.112 ერთეული ავტომანქანა. 2017 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ გამოქვეყნებული არ აქვს. 2016 წლის მონაცემით კი ქვეყანაში სულ 1.126.470 ავტომანქანა იყო რეგისტრირებული. ამავე სტატისტიკით ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2007 წლამდეა წარმოებული. 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1,3%-ს შეადგენს (შსს-ს 2017 წლის ოფიციალური სტატისტიკა ჯერ გამოქვეყნებული არ აქვს. თუ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მონაცემს გავითვალისწინებთ, გამოვა, რომ 2 თვეში დაახლოებით 150-180 ათასით არის გაზრდილი).

რომან გოცირიძე: „ქართული ოცნებისთვის“ მთავარია ივანიშვილის აზრი და არა — ვენეციის კომისიის დასკვნა“

ნონა ცაბაძე

ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე აფასებს.



– ბატონო რომან, ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნა უკვე ცნობილია. ამბობენ, რომ არის კონკრეტული შენიშვნებიც. თუ გაეცანით და როგორია თქვენი შეფასებები?

– თუ ჩვენ რა პრეტენზიებიც გვაქვს, იმას გამოასწორებს საკონსტიტუციო კომისია, მაშინ ჩვენც ვიტყვით, რომ მოვიწონებთ კონსტიტუციას. ვენეციის კომისიამ თქვა, რომ ეს კომისია კარგია, თუ ამ შენიშვნებს გამოასწორებთ. ეს შენიშვნები პირდაპირ წერია კომისიის დასკვნაში და ეს ერთი ერთში ემთხვევა ჩვენს წუხილებს.

– რა არის თქვენი წუხილი და შენიშვნები?

– პირდაპირ წერია, რომ არანორმალურია, 5%-იანი ბარიერი იყოს, ამის შემდეგ ბლოკები გააუქმო, უამრავი პარტია დარჩეს გარეთ, დარჩეს სპეციალურად, იმიტომ, რომ მათ ბლოკებში გაერთიანება არ შეუძლიათ, გამსხვილება არ შეუძლიათ, ცალ-ცალკე გავლენ, ყველა მათგანი მიიღებს ნახევარ პროცენტს, 1%, შემდეგ ეს შეიკრიბება, გამოვა უზარმაზარი პროცენტი და ამას მერე საჩუქრად მიიღებს გამარჯვებული პარტია.

– ამაზე რა თქვა ვენეციის კომისიამ?

– ვენეციის კომისიამ თქვა, რომ ეს არის ნონსენსი! ხელისუფლება კი გაჯიუტებულია, ისინი უკვე აკეთებენ განცხადებებს, რომ არაფრის შეცვლას არ აპირებენ, რეალურად შეცვლიან წვრილმანებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაც კი არ უნდათ. ვენეციის კომისიამ მაინც ძირითადი რჩევა მისცა ხელისუფლებას, მაგრამ მესამე ნამდვილად არ არის კარგი,

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– იგულისხმება ის, რომ ჯანდაბას, გამარჯვებულმა პარტიამ წაიღოს გარეთ დარჩენილი პარტიების ხმები, ოღონდ არ წაიღოს ბევრი. იქ საუბარია იმაზეც, რომ ყველაზე თანაბრად თუ გადანაწილდება, ეს არის ყველაზე გონივრული, მაგრამ ჩათვალეს, რომ ესენი არ არიან გონიერი ადამიანები და შესთავაზეს, წაიღეთ, ოღონდ არა ბევრი.

ჩვენთვის ეს ვარიანტი მიუღებელია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებას ამ კონსტიტუციით სურს, ყველანაირი მექანიზმები შექმნას იმისთვის, რომ თუნდაც ნახევარპროცენტიანი უპირატესობით გაიმარჯვონ და გარეთ დარჩენილი პარტიების მანდატები მოხვეტონ და წაიღონ.

– პრეზიდენტის არჩევის წესზე როგორია ვენეციის კომისიის წინასწარი შეფასებები?

– მათ თქვეს ის ელემენტარული, რასაც ამბობს ყველა. პრეზიდენტის არჩევის წესი ზოგ ქვეყანაში შეიძლება იყოს პირდაპირი და ზოგ ქვეყანაში – არაპირდაპირი და არანაირი იურიდიული პრობლემა ამაში არ არის. პრობლემა არის ქვეყნის ტრადიციაში, პოლიტიკურ ვითარებაში. რატომ უნდათ ამ პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა და რატომ უნდათ ხალხისთვის ამ უფლების წართმევა?! იმიტომ უნდათ, რომ ეს უნდა ივანიშვილს!

– ივანიშვილს რატომ უნდა პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა?

– იმიტომ, რომ მას უნდა შურისძიება! შემდეგ რომ თქვას, არ გამოვიდა ავლაბრის რეზიდენციიდან მარგველაშვილი და არ ჩამოვიდა ათონელზე? ჰოდა მე მაგას დავსჯი. ეს არის ჯიუტი ქურდული პრინციპი, რომ ბოლოს მაინც მე ჩემი გავიტანო. არადა, უამრავი დადებითი ქმედება განახორციელა პრეზიდენტმა ამ წლებში.

– კერძოდ?

– იგივე ვეტოს დადება და თუნდაც მისი საკმაოდ ხისტი პოზიცია, თუნდაც იგივე ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. აქ არის მხოლოდ პიროვნული ფაქტორი. ვენეციის კომისიამ თქვა, რომ პრეზიდენტის არჩევნები, თუნდაც პარლამენტის დონეზე, უმრავლესობას არ უნდა აძლევდეს გარანტიას, რომ მთელი ცხოვრება უმრავლესობამ დანიშნოს თავისი პრეზიდენტი.

– აღნიშნული ვარიანტით პრეზიდენტს არ ექნება მაღალი ლეგიტიმაცია?

– დღეს, როდესაც ეს ხმოსნები იკრიბებიან, მათ მიერ არჩეული პრეზიდენტი ვერ იქნება მაღალი ლეგიტიმაციის მქონე. ხმოსნებს ვინ ირჩევს? ისევ უმრავლესობა! მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვთ, პლუს ადგილობრივი თვითმმართველობებიდან კანდიდატების შერჩევა ხდება. ამ ხმოსნებში არცერთი ოპოზიციონერი არ მოხვდება, რადგან გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა და მთელი ეს ხმოსანთა გუნდი იქნება სახელისუფლებო! ალტერნატიული პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლებაც კი არ აქვს ოპოზიციას, სიმბოლურად რომ დააყენონ კანდიდატურა, ამისთვისაც კი ძალიან დიდი კვორუმია საჭირო. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ვენეციის კომისიის დასკვნა კრიტიკულია.

ორიოდე კვირის წინ პრეზიდენტთან ერთად ოფიციალური ვიზიტით სლოვაკეთში ვიმყოფებოდით. ჩვენ შევხვდით სლოვაკეთის პრეზიდენტს. მას გაცილებით ნაკლები უფლებამოსილება აქვს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ მას ირჩევს ხალხი. გაცილებით მეტი უფლებამოსილება აქვს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრს, ვიდრე საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ასევე საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან სლოვაკეთის პრეზიდენტსა და პრემიერს, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენთან.

– ამით რის თქმა გსურთ?

– იქ არასდროს ხალხს არ უთქვამს, რომ ამის გამო პრეზიდენტი უნდა დანიშნოს მმართველმა პარტიამ, რათა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის იყოს ჰარმონიული ურთიერთობა. პირიქით, ვენეციის კომისიამ ცალსახად თქვა, რომ აუცილებლად საჭიროა ბალანსისა და წონასწორობის დაცვა ხელისუფლების შტოებს შორის. სწორედ ეს წინააღმდეგობა ქმნის ბალანსს და საზოგადოებაში არ იძლევა ერთი რომელიმე აზრის დომინირებისა და ერთი რომელიმე ჯგუფის მიერ პოლიტიკის უზურპაციის საშუალებებს. ეს არის მთავარი!

– რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება ვენეციის კომისიის რჩევებს?

– ჯერ კიდევ არ აქვთ გადაწყვეტილი, მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდება თუ არა! ახლა მიდის შიდა ბუნტი მაჟორიტარული გუნდიდან. მოკლედ, ჯერ კიდევ არავინ იცის, ეს კონსტიტუცია რა ფორმით იქნება წარმოდგენილი. ეს იცის მხოლოდ ერთადერთმა ადამიანმა.

– ვინ არის ეს ადამიანი?

– ეს არის ბიძინა ივანიშვილი. ამიტომ კონსტიტუციას ხალხს კი არ აცნობდნენ, ეს ყველაფერი იყო თამაშის ნაწილი.

– რომელი თამაშის?

– დღეს შიდა დაპირისპირება მიმართულია იქითკენ, ვინ უფრო მიაწვდენს ხმას ბიძინა ივანიშვილს ანუ ამ შიდა პოლიტიკურ ბრძოლაში რომელი ფლანგი გაიმარჯვებს. ბრძოლა ხალხის გულის მონადირებაზე კი არ მიდის, ან ვენეციის კომისიას კი არ აწონებენ თავს, ისინი ელოდებიან ივანიშვილის დასკვნას. მათთვის ვენეციის კომისიის დასკვნაზე მნიშვნელოვანი ივანიშვილის დასკვნაა!

არავინ იცის, რა დასკვნას დადებს ივანიშვილი და ამიტომ არის, ყველა სხვადასხვა განცხადებას რომ აკეთებს. თუ რა იქნება, ამის გადაჭრით თქმა „ოცნებაში“ არავის შეუძლია.

სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიასა და შალვა შალიკაშვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენები დაადგინა

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების ცოტნე გამსახურდიასა და შალვა შალიკაშვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენები დაადგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობით თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა, ორ სისხლის სამართლის საქმეზე, მსჯავრდებულ ცოტნე გამსახურდიას და მსჯავრდებულ შალვა შალიკაშვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენები დაადგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ამავე კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ახალმა დეპარტამენტმა 2016 წლის 24 ნოემბერს მსჯავრდებულ ცოტნე გამსახურდიას, ხოლო 2017 წლის 27 იანვარს მსჯავრდებულ შალვა შალიკაშვილის მიმართ, განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის შედეგადაც სრულად გამოირიცხა შალვა შალიკაშვილის მიერ გაუპატიურების ჩადენის და ცოტნე გამსახურდიას მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კონტროლიორისთვის ქრთამის მიცემის ფაქტი.

– ჩატარებული გამოძიებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 მაისის განაჩენით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ გამოძიება ნაწარმოები იყო მიკერძოებულად და არაობიექტურად. დგინდება, რომ ცოტნე გამსახურდია, სასჯელაღსრულების №18 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში ხშირად გამოხატავდა პროტესტს პატიმრების მიმართ ძალადობის გამო, რაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნების გაღიზიანებას იწვევდა.

აქედან გამომდინარე, მისი სამაგალითოდ დასჯის მიზნით, დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ წინასწარ დადგმული სცენარით, საპატიმრო დაწესებულებაში ცოტნე გამსახურდიას მოუწყვეს დანაშაულის პროვოცირება, როდესაც მას საპყრობილის თანამშრომელმა ციხიდან კორესპონდენციის გატანა შესთავაზა, რის სანაცვლოდაც მან გამსახურდიას ოჯახის წევრებს ფულადი გასამრჯელო გამოართვა. აღნიშნულისთვის ცოტნე გამსახურდია მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქრთამის მიცემისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

ამრიგად, დადასტურებულ იქნა ის ფაქტი, რომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციის ნიშნებს და სისხლის სამართლის საქმის მასალების ფალსიფიკაციას, რაც საფუძვლად დაედო მის უკანონო მსჯავრდებას. აქედან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებული გაამართლა ქრთამის მიცემის ბრალდებაში და მის მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი, – აცხადებენ პროკურატურაში.

მათივე ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ასევე დადასტურდა, რომ მსჯავრდებული შალვა შალიკაშვილი გაყალბებული მტკიცებულებების და 12 წლის დაზარალებულის ცრუ დასმენის შედეგად გასამართლებული იქნა 2008 წლის 31 ივლისს, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ, მიესაჯა 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ცხრა წელი იხდიდა სასჯელს.

გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ შალვა შალიკაშვილი სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.

პროკურატურის განცხადებით, პროცესის, რომელიც მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა უკანონოდ გასამართლებული პირების განაჩენების გადასინჯვისა და მათი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით დაიწყო, შეუქცევადი ხასიათი აქვს. დღეის მდგომარეობით, ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა, სააპელაციო სასამართლოს 23 მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა, საიდანაც 8 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

აფგან მუხთარლი აზერბაიჯანში საქართველოს ელჩთან შეხვედრას ითხოვს

აფგან მუხთარლი აზერბაიჯანში საქართველოს ელჩთან შეხვედრას ითხოვს აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა აფგან მუხთარლიმ აზერბაიჯანში საქართველოს ელჩთან თეიმურაზ შარაშენიძესთან შეხვედრა მოითხოვა. აღნიშნულის შესახებ „მეიდან ტვ“ აფგან მუხთარლის ადვოკატზე, ელჩინ სადიგოვზე დაყრდნობით წერს.

როგორც „მეიდან ტვ“-ის აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოში განუცხადეს, ისინი ინფორმირებულნი არიან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს საელჩოში ასევე აღნიშნეს, რომ თეიმურაზ შარაშენიძე რამდენიმე დღის წინ საქართველოში გაემგზავრა და მხოლოდ ერთ კვირაში დაბრუნდება.

– ბაქოში დაბრუნებისას ის კომენტარს გააკეთებს ჟურნალისტის მოთხოვნაზე, – აღნიშნეს აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოში.

* * *

„ნეტგაზეთი“ რადიო „თავისუფლებაზე“ დაყრნობით, წერს, რომ აზერბაიჯანელი დეპუტატი ელმან ნასიროვი აცხადებს, რომ აფგან მუხთარლის დაკავება აზერბაიჯანულ-ქართული სპეცსამსახურების ერთობლივი შედეგია.

– სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აფგან მუხთარლი არის ფიგურა, მსხვილი ქსელის განუყოფელი ნაწილი. უფრო ძლიერი პოლიტიკური ძალები საქართველოში აგროვებენ ისეთებს, როგორიც აფგან მუხთარლია. საუბარია დიდ ფინანსებზე, მსხვილ ორგანიზაციებზე. საქმე მხოლოდ აფგანს რომ შეხებოდა, ასეთი დაკავების აუცილებლობა არ დადგებოდა. ეს ქსელი რა თქმა უნდა იცავს აფგან მუხთარლის, და მათ სურთ წინააღმდეგობა გაეწიათ იმისთვის, რომ მუხთარლი აზერბაიჯანში ჩამოეყვანათ. ამ კუთხით ეს ერთობლივი ნაბიჯი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის იყო სპეცსამსახურების მუშაობის შედეგი. აზერბაიჯანულმა სტრუქტურებმა აჩვენეს პროფესიონალიზმი. თავი აარიდეს წინააღმდეგობას და დამნაშავე ადამიანი აზერბაიჯანში ჩამოიყვანეს. ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ღონისძიება, – აცხადებს მილი მეჯლისის დეპუტატი.

სუს-ი აზერბაიჯანელი დეპუტატის განცხადებას, თითქოს აფგან მუხთარლის დაკავება იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს სპეცსამსახურების ერთობლივი მუშაობის შედეგი, კატეგორიულად უარყოფს აზერბაიჯანელი დეპუტატის ელმან ნასიროვის განცხადება იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტ აფგან მუხთარლის დაკავება იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს სპეცსამსახურების ერთობლივი მუშაობის შედეგი, სიმართლეს არ შეესაბამება, – ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დეპუტატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და რაიმე კავშირს აფგან მუხთარლის საქმესთან კატეგორიულად უარყოფს.

– აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სსკ-ს 143-ე მუხლით, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს, – აცხადებენ სუს-ში.

დეკანოზი გიორგი მამალაძე საპატრიარქოს იურისტისგან 50.000 ლარს ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის განხილვა 23 ივნისს გაგრძელდება. 9 ივნისს გამართულ სასამართლო პროცესზე განსაკუთრებულად სკანდალური არაფერი მომხდარა. მხოლოდ დაცვის მხარემ მოითხოვა საპატრიარქოს იურისტისგან 50.000 ლარი. პროკურატურა კი ისევ მტკიცებულებების ინტიმურ დეტალებზე ალაპარაკდა.



სკანდალს სახალხო დამცველთან დაკავშირებით ელოდნენ. ერთ სხდომაზე უჩა ნანუაშვილი სასამართლოზე არ შეუშვეს. ომბუდსმენმა ამაზე ხმაური ატეხა და 9 ივნისს მისთვის სასამართლოს კარი უკვე გაიღო.

ციანიდის საქმის გარშემო პროკურატურამ და სახალხო დამცველმა რამდენიმე კვირის წინ მსუბუქად დაგმეს ერთურთი. ამის მიუხედავად, ციანიდის საქმის ერთ-ერთი პროკურორი ზვიად გუბელაძე სიხარულს გამოხატავდა ნანუაშვილის გამო და იმედოვნებდა, რომ სახალხო დამცველი ობიექტური იქნება.

უჩა ნანუაშვილმა სასამართლოზე დასწრების სურვილი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც პროკურატურის მოთხოვნით საქმე დაიხურა.

– ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ სახალხო დამცველი ესწრება სასამართლო პროცესებს და გვაქვს მოლოდინი, რომ სახალხო დამცველი იქნება ობიექტური, ნეიტრალური და შეაფასებს სისხლის სამართლის საქმეში მიმდინარე მოვლენებს და ისიც დარწმუნდება, რომ გიორგი მამალაძეს ნამდვილად აქვს ჩადენილი დანაშაული. ასევე, იმედი გვაქვს, რომ სახალხო დამცველი ობიექტურად და ნეიტრალურად დაიცავს როგორც ბრალდებულის, ასევე დაზარალებულის ინტერესებს, – განაცხადა მედიასთან საუბარში გუბელაძემ.

უფლებააღდგენილი ნანუაშვილი პირობას დებს, რომ ამ საქმეს დააკვირდება და ყველა სასამართლო პროცესს დაესწრება. თავად თუ ვერ მოახერხებს მისვლას, წარმომადგენელს გაგზავნის. პროცესზე დასწრების უფლება მის წარმომადგენლებსაც ექნებათ.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე ადვოკატებმა საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავას წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

დეკანოზი გიორგი მამალაძე ედიშერ ქარჩავას პატივისა და ღირსების შელახვისთვის 50.000 ლარს და ბრალდებების საჯაროდ უარყოფას სთხოვს.

– ედიშერ ქარჩავამ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც თითქოს მამა გიორგის მიერ ფულის გათეთრების პროცესს ეხებოდა. ის მიუთითებდა, რომ არსებობდა მტკიცებულებები. ეს აბსურდია, მარტო ის ფაქტი, რომ, მისივე თქმით, პატრიარქმა ეს არ იცოდა, უკვე სიცრუე იყო. მოვიძიეთ დოკუმენტი, სადაც პატრიარქის გაცემული მინდობილობაა იმ ქველმოქმედებაზე, რომელსაც დეკანოზი ედგა სათავეში. გრანტები და ინვესტიციები კლინიკებს უნდა მოხმარებოდა.

ქარჩავა აცხადებდა, რომ სარგებელს ელოდა დეკანოზი, ეს არის სიცრუე, ეს არის ღირსების შელახვა. არ შეიძლება ასეთი ცილისწამება და უარგუმენტოდ საუბარი. – ამბობს მამა გიორგის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი.

9 ივნისს გამართულ სხდომაზე ადვოკატებმა კიდევ ერთხელ დააყენეს შუამდგომლობა სხდომის გახსნასთან დაკავშირებით.

მათი განმარტებით, სხდომის გახსნის საფუძველს მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის განცხადება იძლევა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ციანიდის საქმეში არანაირი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა არ არსებობს.

სასამართლო სხდომის დახურვის მოტივად კი მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა საქმის მასალებში, სწორედ მსგავსი სახის ჩანაწერების არსებობა დაასახელა.

– ჩვენ მოვითხოვეთ სხდომის გასაჯაროება, თუმცა მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა ჩვენთვის ცოტა გასაკვირი პოზიცია დაფიქსირა და თქვა, აქ მე ვწყვეტ, არის თუ არა საქმეში პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციაო. თუმცა ადვოკატები არ დავეთანხმეთ ამ განცხადებას და ვთქვით, რომ ის საფუძველი, რომლითაც დაიხურა სხდომა, მათ მიერვე იქნა უარყოფილი. ამის მიუხედავად, სხდომა მაინც დახურული დარჩა, – განაცხადა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ.

საქმეში ინტიმური დეტალების არსებობაზე პირველი განცხადება პროკურორმა ვექილიანმა გააკეთა. იმაზე დღეს საქმის მეორე პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა განაცხადა, რომ საქმეში არანაირი ინტიმური დეტალი არ არის.

საქმის კიდევ ერთი პროკურორი გუბელაძე კი ამბობს, რომ პროკურატურის ხელთ არსებულ ვიდეოჩანაწერებში გიორგი მამალაძე სხვადასხვა პირების პირად ცხოვრებას უარყოფით და მიუღებელ კონტექსტში განიხილავს.

– ყველასთვის ნათელი რომ გახდეს, რა ვიდეოჩანაწერებზეა საუბარი, ვიტყვი, რომ ეს არის ვიდეოჩანაწერები, სადაც ასახულია გიორგი მამალაძისა და ირაკლი მამალაძის შეხვედრები და საუბარი.

ამ ვიდეოჩანაწერებში დეკანოზი განიხილავს სხვადასხვა პირების პირად ცხოვრებას უარყოფით და მიუღებელ კონტექსტში. ასევე არსებობს სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ეხება ბრალდებულის პირად ცხოვრებას და სხვა პიროვნებების პირად ცხოვრებას, – განუცხადა ჟურნალისტებს გუბელაძემ.

მისი თქმით, სისხლის სამართლის საქმეზე არ არსებობს ვიდეოკადრები, სადაც ასახულია კონკრეტული პიროვნების პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალები.

9 ივნისის სხდომით დაცვის მხარე მთლიანობაში კმაყოფილია. მათი თქმით, პროკურატურის შესავალ სიტყვაში მრავლად იყო კურიოზული მომენტები.

– ბრალდების შესავალ სიტყვაში ისეთივე კურიოზული მომენტები იყო, რაც ბოლო 4 თვის განმავლობაში გვესმის, რაც გამოძიება მიმდინარეობს. მტკიცებულებებზე სრულად ახლაც ვერ ისაუბრეს. არავითარი ისეთი არგუმენტი არ მოგვისმენია, რომელიც მოსამართლეს აფიქრებინებდა, რომ საქმეზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, – აღნიშნა ადვოკატმა ფანცულაიამ.

„ბირჟა მაფიის“ წევრები დააკავეს

– მითხრეს, გვეგონა წინააღმდეგობას გაგვიწევდი და მაგიტომ მომზადებულები მოვედითო, – ამის შესახებ რეპერმა, ჯგუფ „ბირჟა მაფიის“ წევრმა მიხეილ მგალობლიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა. მან დეტალურად გაიხსენა თუ როგორ მოხდა მისი დაკავება და აღნიშნა, რომ ნარკოტიკული საშუალება მას პოლიციამ ჩაუდო.

–მე მოვიფიქრე აქტუალურ თემაზე რეპი და მოვიფიქრე ჩემს მეგობრებთან ერთად ჯგუფი „ბირჟა მაფია“, რომელიც არის ქუჩის ცხოვრებით დაკავებულ ტიპებზე. ისინი არიან პერსონაჟები. „ბირჟა მაფია“, „ბარკალა“ მღერის ქუჩის ცხოვრებაზე კომედიური კუთხით.

სიტუაცია არის გაშარჟებული. ყველაფერი ხდება იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ტაბუირებული თემა აიხსნას. მოვიფიქრეთ, რომ გაგვეშარჟებინა პოლიციაც, რაც უხეშად დაინახეს პოლიციის თანამშრომლებმა. ამას მათი მხრიდან მოჰყვა აგრესია. იქ არ არის კონკრეტულ პირზე.

ეს იყო შარჟი და არის განზოგადებული. დაკავებამდე დამიკავშირდნენ და მთხოვეს, რომ ერთი დღით ეს ინტერნეტს მოაშორეო, სანამ ჩვენ გავარკვევთ რისი უფლება აქვთ სამართალდამცველებსო.

ჩემი ინტერესია ბევრმა ადამიანმა ნახოს ეს კლიპი. ის პოლიციელი, რომელიც სამართალდამცავებისთვის არასასიამოვნო სურათს წარმოადგენდა, ის ვქენი, რომ მისი დანახვა იყო შეუძლებელი. დამირეკეს და მითხრეს, რომ ეს საკმარისი იქნებოდა ამ ხალხის გაღიზიანების ჩასაცხრობად, – განაცხადა მგალობლიშვილმა.

ბრალდებულის თქმით, ის თავდაპირველად ორმა ადამიანმა დააკავა, ხოლო შემდეგ, როცა მასთან გარკვეული რაოდენობის ხალხი მოგროვდა, მგალობლიშვილის თქმით, მას ფიზიკურადაც შეეხნენ. „ტელეკომპანია „იმედის“ შესასვლელიდან, ჩემი მიმართულებით მოდიოდა ორი ანერვიულებული საშუალო ასაკის მამაკაცი და მკითხეს, მგალობლიშვილი შენ ხარო? კიმეთქი, ვუპასუხე და ეგრევე დაიწყეს დაკავება. მე ვუთხარი, რომ არ ვაპირებდი შეწინააღმდეგებას მათთან. მიმაყუდა ერთ-ერთმა კართან და დაიწყო ხელების ფათური.

შემდეგ ჩამსვა მანქანაში, ზემოდან დამახტა თავზე. მე ვუთხარი, რომ ვიცი, თქვენ გაღიზიანებული ხართ კლიპზე. მან მკითხა რა კლიპზე და უკვე შეურაცხყოფა წამოვიდა ჩემზე. მე ვიყავი შეშინებული. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამის გამო ასეთი რამე ვერ მოხდებოდა. გადამაყენეს გზის მეორე მხარეს. შემდეგ მითხრეს რომ დეტექტივს ველოდებითო. დეტექტივმა თავში ჩამარტყა ხელი, ჩემი ვარაუდით სცადა შეემოწმებინა ჩემი რეაქცია. მე ვეუბნები, რომ ცუდად ვგრძნობ თავს, არ ვიცი როგორ უნდა მოვიქცე. დეტექტივმა თქვა, გაჩხრიკეთო. მოგროვდა ხალხი. დაიწყეს ჩემი ჩხრეკა, ტელეფონი წამართვეს.

მანამდე ვუთხარი, რომ დავრეკავდი მამაჩემთან ან ბაბუაჩემთან, მაგრამ წამართვეს ტელეფონი. ამომიღეს საფულე, სადაც მედო 40 ლარი, პირადობა, მაეტროს საშვი, თიბისის ბარათი, მეტრომანი, „პე-ეს-პე“-ს ბარათი და „იუნიქარდი“, ჩიპი.

მეორე ჯიბიდან ამომიღეს „მაესტროში“ გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება. ამას ამოაყოლეს რაღაც ქაღალდი, დაკუჭული. ხანდახან ჩეკებს ვინახავ, ამიტომ ვიფიქრე ჩეკი იყო. გახსნეს და ფერადი ტაბლეტები იყო. მერე მივხვდი რაც იყო. თვითონაც არ იცოდნენ რა ნარკოტიკული საშუალება იყო. დეტექტივი ითვლიდა. მე არ ვეწინააღმდეგებოდი. მათი უმეტესი ნაწილი საკმაოდ კარგად მექცეოდა. ვეკითხებოდი, რა იქნება შემდეგში, აქედან როგორ უნდა გამოვძვრე მეთქი. შემდეგ მივედით შსს-ს ტერიტორიაზე, მგონი, სადაც „კაპეზეში“ ვიყავი.

დიდი ხანი ხდებოდა ქაღალდების შევსება. მე ამასობაში მოვყევი ის, რაც თქვენ მოგიყევით. მათაც ამიხსნეს, რომ შენ რაც დააშავე, ამას შეეფარდება მხოლოდ რაღაც დანაშაული, რომლის ჩადენის შემთხვევაში შენ დაგეკისრება 200 ლარიანი ჯარიმაო. მაგრამ ვიღაცა რომ გააღიზიანე და შენ ჭკუა ისწავლო, იმიტომ გექცევით ასეო. შემდეგ ავედით კაბინეტებში, იქ იყო გინება, ვისაც პოლიცია არ უყვარს და ა.შ. შემდეგ მეგონა, რომ მცემდნენ, მაგრამ რადგან კარგად ვიქცეოდი, ასეთი რამე არ მემუქრებოდა. ამის შემდეგ მითხრეს, თქვი, რომ ეს შენ იპოვე და ასე გამოძვრებიო. შემდეგ სადაც მაგინეს, ისევ იქ გადმოვედით. იქ არანაირ ნარკოტოკებზე არ იყო საუბარი. თანამშრომელი მოვიდა და მითხრა, ეს შენ გააკეთეო? მე ვუთხარი, რომ ხო, შემეშალა მეთქი. დაიწყო გინებები. ეჭვი მქონდა, რომ როცა ნარკოტესტს ჩამიტარებდნენ, იქაც შეიძლებოდა ეთქვათ, რომ შენ ხარ მომხმარებელიო. თუმცა თუ ვიყავი მომხმარებელი, არ ვიცოდი რა სასჯელი მელოდა.

ამობეჭდეს რაღაც, ხელი მომაწერინეს. მერე წავედით ნარკოლოგიურში, შარდის ტესტი გააკეთეს. არ ამომიგდო ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. მითხრეს, ხელს რომ მოაწერ, წახვალო. მითხრეს, გვეგონა წინააღმდეგობას გაგვიწევდი და მაგიტომ მომზადებულები მოვედითო", – აღნიშნა ბრალდებულმა პროცესზე.

თორნიკე მამალაძე: „პროკურატურას ჩემი ძმის წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია“

– საპატრიარქოს წარმომადგენლები ცდილობენ პატრიარქი მხოლოდ ოჯახის წევრებს შეგვხვდეს, რათა მერე თქვან, შეხვედრა შედგა და პატრიარქი ისევ იგივე პოზიციაზეაო, – ამის შესახებ ჟურნალისტებს დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმამ, თორნიკე მამალაძემ, პატრიარქთან შეხვედრის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, შეხვედრის თაობაზე საპატრიარქოსთან ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს.

– კომუნიკაცია ყოველდღიურია. ცდილობენ საპატრიარქოს წარმომადგენლები, რომ შევხვდეთ მხოლოდ ოჯახის წევრები, რათა შემდეგ გამოვიდნენ და თქვან, რომ შეხვედრა შედგა და პატრიარქი ისევ იმ პოზიციაზე დგას. იმედია, პატრიარქი ოჯახს ადვოკატებთან ერთად შეგვხვდება. მე ბოლომდე ამ პოზიციაზე ვიქნები, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ.

დეკანოზის ძმა თბილისის საქალაქო სასამართლოში იმყოფებოდა, სადაც ე.წ. ციანიდის საქმის სასამართლო განხილვა ჩატარდა. თორნიკე მამალაძის აზრით, პროკურატურას მისი ძმის წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია და ეშინია საზოგადოების მხრიდან სიმართლის დანახვის, რის გამოც პროცესები დახურეს. დეკანოზის ძმა ასევე პროცესებზე სახალხო დამცველის დასწრებას დადებითად აფასებს.

– ერთი ნეიტრალური პიროვნება მაინც დაესწრება სასამართლო განხილვებს და ვფიქრობ, ვერ გაბედავენ ბოლომდე თავიანთი ტყუილებით წარმართონ სასამართლო, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ.

ამერიკის სავაჭრო პალატაში უცხოელებზე მიწის გასხვისების მოსალოდნელ აკრძალვას სამწუხაროს უწოდებენ

ამერიკის სავაჭრო პალატაში უცხოელებზე მიწის გასხვისების მოსალოდნელ აკრძალვას სამწუხაროს უწოდებენ.

როგორც ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ველტონმა განაცხადა, ინვესტორებს საქართველოში ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოტანა შეუძლიათ.

ველტონი ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად საქართველოში „ფერეროს“ შემოსვლას ასახელებს. „ახლა თხილის ექსპორტი საქართველოდან ღვინის ექსპორტზე მეტია“, – აცხადებს ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი.

ველტონი ფიქრობს, რომ აკრძალვის საფუძველი არ არსებობს, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ მცირე ნაწილი.

ამის გარდა, მისი თქმით, მიწის ფასი, კონსტიტუციაში ახალი ჩანაწერის გაჩენის შემთხვევაში, შემცირდება.

„ბანკებს განსხვავებული პროფილის კომპანიებში პირდაპირ თუ ირიბად ინვესტირება აეკრძალებათ“

კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური ბიზნესების მართვის შეზღუდვა საკანონმდებლო დონეზე გადაწყდა. დღეს ბანკებს შეუძლიათ, ნებისმიერი ბიზნესი ჰქონდეთ, მართონ კლინიკები, სასტუმროები, სამშენებლო კომპანიები, უნივერსიტეტები, ააშენონ ენერგეტიკული ობიექტები. ასეთი უფლებამოსილების გამო საბანკო ჰოლდინგებს მიღმა მყოფი ბიზნესის წარმომადგენლები დიდი ხანია, აცხადებენ, რომ ბანკები მათთვის არათუ ბიზნესპარტნიორები, არამედ კონკურენტები გახდნენ.

რა რეგულაციებს ითვალისწინებს ახალი კანონპროექტი, ამ საკითხზე საზოგადოებრივი მაუწყებელი ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტ მურთაზ კიკორიას ესაუბრა:

– კანონპროექტი, რომელიც უკვე პარლამენტშია, რა შეზღუდვებს უწესებს ბანკებს არაპროფილურ ბიზნესთან დაკავშირებით?

– ამ ცვლილებებით გათვალისწინებულია კომერციული ბანკების მიერ ეგრეთ წოდებული არაპროფილური აქტივების ფლობის აკრძალვა, ამჯერად უკვე საკანონმდებლო დონეზე. აქამდე ეს გაკეთდა წერილობითი მითითებით. აღნიშნული ითვალისწინებს, რომ ბანკებს ინვესტირების შესაძლებლობა მხოლოდ ფინანსურ ინსტიტუტებსა და საბანკო საქმიანობასთან ან ბანკის სოციალურ პროექტებთან დაკავშირებულ კომპანიებში ექნებათ, ხოლო განსხვავებული პროფილის კომპანიებში მათ პირდაპირ თუ ირიბად ინვესტირება ეკრძალებათ. ეს არის ამ რეფორმის შემდგომი ეტაპი.

შემოგვაქვს საბანკო ჯგუფის ცნება, რომელიც უკავშირდება ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაზრდას, ეგრეთ წოდებულ, კონსოლიდირებულ ზედამხედველობასთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ეროვნულ ბანკს ექნება ზედამხედველობისა და რეგულირების სრული უფლებამოსილება საბანკო ჯგუფებზე, რომლის წევრები შეიძლება იყვნენ ფინანსურ ინსტიტუტები, საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული იურიდიული პირები და საბანკო ჰოლდინგები (იურიდიული პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კომერციული ბანკის აქციების 50%-ზე მეტს ან აკონტროლებს კომერციულ ბანკს). აღნიშნული რეგულირება სხვა ბევრ რამესთან ერთად, გულისხმობს ასევე გარკვეული კოეფიციენტების დაწესებას, მათ შორის კაპიტალზე, ლიკვიდობაზე, უკვე საბანკო ჰოლდინგისა და საბანკო ჯგუფის დონეზე.

– ინვესტირების შესაძლებლობა საერთოდ არ ექნებათ თუ ლიმიტები წესდება?

– აქ არის ორი ნაწილი, ბანკს არასაბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ საწარმოებში ინვესტირების საშუალება საერთოდ არ ექნებათ (მიუხედავად წილის ოდენობისა). ამასთან ერთად, თუ საკრედიტო საქმიანობის შედეგად მათ მოუწიათ წილის დასაკუთრება, ამაზეც შეზღუდვა შემოგვაქვს, გარკვეული პერიოდის შემდეგ ბანკს აქვს ვალდებულება, ეს წილი გაყიდოს, რათა დარჩენილი აქტივი არ გახდეს არაპროფილურ საქმიანობაში შესვლის საფუძველი.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, რომელიც გულისხმობს დაკავშირებული მხარეების დაკრედიტებას, ამ შემთხვევაში უკვე მოქმედებს ინტერესთა კონფლიქტის დებულება, რომელიც ბანკებს უდგენს წესებს თუ როგორ უნდა მოიქცნენ დაკავშირებულ მხარეებთან. ამ მიმართულებით დაწესებულია მკაცრი ლიმიტები, ბანკებს მათთან დაკავშირებული მხარეების დაკრედიტება მხოლოდ გარკვეული ლიმიტის ფარგლებში შეუძლიათ.

– კონკრეტულად რა მოცულობისაა ეს ლიმიტები?

– ბანკის სესხები ან სხვა ტიპის მოთხოვნები (რისკის პოზიციები, მაგ. გარანტიები) ერთი და ყველა დაკავშირებული მხარის მიმართ არ უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ ლიმიტებს (ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-სა და შესაბამისად, 25%-ს). ლიმიტების გარდა განსაზღვრულია მკაცრი მოთხოვნები დაკრედიტებისას, სესხის უზრუნველყოფა უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა. კერძოდ, დაკავშირებული მხარის შემთხვევაში მიღებული უზრუნველყოფის საშუალების სამართლიანი ღირებულება, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, რისკის პოზიციის მთლიანი თანხის 110 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ბანკთან დაკავშირებული მხარის დაკრედიტების მიმართ მოთხოვნები უფრო მკაცრია, ვიდრე სხვა კომპანიის შემთხვევაში.

– კანონპროექტში მითითებულია ტერმინი – ასოცირებული კომპანია. თუკი იურიდიულად კომპანია გამიჯნულია ბანკისგან, როგორ უნდა დაამტკიცო, რომ რომელიმე კომპანია ბანკთან არის ასოცირებული?

– ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არსებობს ასოცირებული კომპანიის განმარტება. კერძოდ, შეიძლება კონკრეტულ კომპანიაში ბანკს საკონტროლო პაკეტი არ ჰქონდეს, მაგრამ ფლობდეს იმ ოდენობის წილს, რომელიც საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების პროცესში. ასეთი კომპანია ბანკთან ასოცირებულ კომპანიად ითვლება. აღნიშნული განმარტება უკვე არსებობს ქართულ საკანონმდებლო სივრცეში (ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება).

– თუ ბანკის ხელმძღვანელ პირებს ასოცირებულ კომპანიებში აქვთ აქციები, ამ შემთხვევაში მათ ბანკის მართვის უფლება რჩებათ თუ ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება?

– თუ საუბარია იმაზე, რომ ბანკის ხელმძღვანელი პირი ბანკთან ასოცირებულ კომპანიაში ფლობს წილს, მონაწილეობს მართვის პროცესში და იღებს გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, ეს არის ინტერესთა კონფლიქტი და ეს უკვე რეგულირდება ინტერესთა კონფლიქტის დებულებით. თუ რა წესები უნდა დაიცვან ბანკებმა, ამ დებულებაშია გაწერილი.

– რაც შეეხება „საბანკო ჯგუფში“ შემავალი კომპანიების ზედამხედველობას, თუ იყო კონსულტაციები ამ კომპანიების ხელმძღვანელებთან და როგორია მათი პოზიცია?

– კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, რომ ჩვენ შემოგვაქვს „საბანკო ჯგუფის“ განმარტება, რომელიც მოიცავს ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბანკთან დაკავშირებულ ჯგუფებს. ეს პაკეტი ბუნებრივია, განხილული იყო საბანკო სექტორთან, ბანკების ასოციაციასთან. პარლამენტში შესული პროექტი ითვალისწინებს იმ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, რომელიც სექტორისგან მივიღეთ.

– თუმცა იყო პრეტენზია, რომ არ შეიძლება ეროვნულმა ბანკმა აკონტროლოს სხვა კომპანიებიც...

– დიახ, მაგრამ შეთანხმება იქნა მიღწეული, რომ ეროვნული ბანკს მიენიჭოს უფლება ზედამხედველობა და რეგულირება გაუწიოს საბანკო ჯგუფში შემავალ ფინანსურ ინსტიტუტებსა და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ კომპანიებს. უბრალოდ კიდევ ერთხელ დავაზუსტეთ ტერმინთა განმარტებები, ფორმულირებები – რა მოიაზრება ამ რეგულაციაში. მგონია, რომ კანონპროექტის იმ ვარიანტში, რომელიც პარლამენტში შევიდა ყველა მხარის ინტერესია გათვალისწინებული.

ეროვნული ბანკის ზედამხედველობის მთავარი პრინციპია ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, საბანკო ჯგუფის ზედამხედველობის მიზანი არის არა სხვა კომპანიების პირდაპირი ზედამხედველობა, არამედ საფინანსო სექტორის სტაბილურობის მანდატის ფარგლებში, ჯგუფის სხვა წევრებისგან მომდინარე რისკების კომერციული ბანკისთვის არიდება.

შეიძლება მასთან აფილირებული ფინანსური ინსტიტუტები და კომპანიები ბანკისთვის, არაპირდაპირ, რაღაც რისკებს ქმნიდნენ. შესაბამისად, ეროვნულ ბანკს უნდა გააჩნდეს ამ რისკების შეფასების უფლებამოსილება და შეფასების ფარგლებში ინფორმაციის გამოთხოვა საბანკო ჯგუფის წევრებისა და საბანკო ჯგუფთან დაკავშირებული სხვა პირებისგან.

ეს კანონპროექტი სწორედ ამას ისახავს მიზნად, რომ ეროვნულ ბანკს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეეძლოს ასეთი კომპანიების შეფასება, ურთიერთდამოკიდებული პროცესების ნახვა, შეჯამება და იმ რისკების გამოვლენა, რამაც შეიძლება თეორიულად ბანკისთვის არასტაბილური მდგომარეობა შექმნას. ეს არის ძირითადი მიზანი.

– ამ რეგულაციების მომზადებით ეროვნული ბანკი იზიარებს მოსაზრებას, რომ კომერციულ ბანკებთან ასოცირებული, არაპროფილური კომპანიები ბაზარზე კონკურენციას ზღუდავენ? ანუ თქვენ ასეთი საფრთხე დაინახეთ?

– თუ საუბარია რეალურ სექტორში კონკურენციის პრობლემებზე აქ არის ორი ნაწილი. ერთია სახელმწიფო, მისი საინვესტიციო და კონკურენციის პოლიტიკა. ამისთვის არსებობს კონკურენციის სააგენტო. შესაბამისად, თუ რეალურ საწარმოში კომპანიები თვლიან, რომ არაკონკურენტული გარემოა, უნდა მიმართონ კონკურენციის სააგენტოს. ამ კუთხით, ეროვნული ბანკის როლი არის ის, რომ კომერციულმა ბანკებმა ეს კომპანიები სხვა კომპანიებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში არ ჩააყენონ. სწორედ, ამისთვის გაიწერა ეს რეგულაციები. ახლი ინიციატივა კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს იმას, რომ ეროვნულმა ბანკმა აღმოფხვრას დარღვევები და უპირატესობის ფაქტები.

– ამ რეგულაციებზე მუშაობის წინ თუ ჩატარდა რაიმე სახის კვლევა, როგორ იყენებდნენ უპირატესობას ბანკებთან ასოცირებული კომპანიები?

– თუ არსებობს რამე კონკრეტული ფაქტი, ეს აუცილებლად ხდება ჩვენი რეაგირების საგანი. კომპანიებს აქვთ საშუალება მიმართონ სხვადასხვა ბანკს. ბაზარზე მარტო ერთი ბანკი არ არის. მონოპოლიური საქმიანობის გამოვლენა ჩვენი კომპეტენცია არ არის, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ჩვენი ინფორმაციით, ასეთი ფაქტები არ გვაქვს. ბანკები კომპანიებს სთავაზობენ ალტერნატივებს სხვადასხვა პროდუქტისა და დაფინანსების სახით. თუ რამე კონკრეტული ფაქტი გამოვლინდა, ვინმე მიიჩნევს, რომ ბანკთან აფილირებულმა კომპანიამ იგი ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ამისთვის არის რამდენიმე ინსტიტუტი – ეროვნული ბანკი, კონკურენციის სააგენტო და სასამართლო.

– თუ ასეთი ფაქტები არ არსებობდა, მაშინ რატომ გადაწყდა რეგულაციები, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას ეჭვი ეპარებოდა?

– ეროვნული ბანკის უფლებამოსილება და საერთაშორისო პრაქტიკა განისაზღვრება ბაზელის პრინციპებით. ეს არის ჩვენი მთავარი დოკუმენტი, კანონმდებლობა შესაბამისობაში მოგვყავს ამ პრაქტიკასთან. ამასთანავე ასეთი უფლებამოსილება გათვალისწინებულია ასოცირების ხელშეკრულებით, ისედაც გვიწევს ამ საკითხებზე მუშაობა და ამ მოთხოვნების შესრულება. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა, ის მეთოდოლოგია, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოიყენება.

– თქვენ ახსენეთ, რომ თუ ვინმეს ერთი ბანკი არ აძლევს კრედიტს, შეუძლია, მიმართოს სხვა ბანკს. ამ კუთხითაც არის კითხვები, რომ საქართველოს საბანკო სივრცეში არ არის კონკურენცია და ბაზარი ორ მსხვილ ბანკს აქვს განაწილებული. კონკურენციის პრობლემა თუ დგას დღეს საბანკო სექტორში?

– თუ ხართ დიდი კორპორაციული კლიენტი და გჭირდებათ დიდი თანხა, მაგალითად 100 მილიონი ლარი, ამ მოცულობებში გვაქვს შეზღუდვა, მხოლოდ ორ ბანკს შეუძლია ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს. თუმცა ფიზიკური პირისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ქვეყანაში 16 ბანკი და 84 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არსებობს, ბევრი სხვადასხვა მრავალფეროვანი პროდუქტით.

მსხვილი ბიზნესისთვის კი მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის განვითარება. ამ კომპანიებს უნდა შეეძლოთ დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება იგივე კორპორაციული ბონდების გამოშვებითა და საჯარო შეთავაზებებით. ეს არის მათი განვითარების შემდგომი ეტაპი. აქედან გამომდინარე ერთის მხრივ ეს არის გარკვეული გამოწვევა, თუმცა საბოლოო ჯამში კონკურენციას ჩვენ ვზომავთ საპროცენტო განაკვეთებით. თუ თქვენ შეხედავთ ბოლო 5-10 წლის სტატისტიკას საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით შეამჩნევთ, რომ იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საბანკო სექტორში არის კონკურენტული გარემო.

– მას შემდეგ, რაც საქართველოს საბანკო ბაზარი დატოვა „სოსიეტე ჟენერალმა“, განიხილება თუ არა რომელიმე საერთაშორისო ბანკის შემოსვლა?

– საერთაშორისო ბანკებს ჩვენთვის ასეთი განაცხადით არ მოუმართავთ, თუმცა განაცხადი გვაქვს ჩინური ჯგუფებიდან და უკვე ვმუშაობთ ამ თემაზე.

ლარში ფასდადება უძრავ ქონებას არ გააძვირებს

საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელ ირაკლი როსტომაშვილის განცხადებით, უძრავ ქონებაზე ლარში ფასდადება ბინებს ფასს არ გაზრდის და ამ მხრივ არასწორი აჟიოტაჟია ატეხილი. ამის შესახებ მან რადიო „კომერსანტის“ ეთერში ისაუბრა.

როგორც ცნობილია, დედოლარიზაციის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, დეველოპერულ კომპანიებს ახალი ვალდებულება უჩნდებათ, მათ უძრავი ქონების ფასდადება ლარში უნდა დაიწყონ. ეს ცვლილება ძალაში 2017 წლის ივლისიდან შედის.

– ფასების ცვლილება რატომ უნდა გამოიწვიოს? უბრალოდ ეს არის დაბნეულობის გამო არასწორად ატეხილი აჟიოტაჟი. პურზე ან ნებისმიერ სხვა პროდუქტზე, მსგავსი აჟიოტაჟი არ არის ატეხილი მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც ხორბალი იმპორტირებულია. რესტორანში რომ შედიხარ და საჭმელს მიირთმევ, მისი მომზადებისთვის საჭირო პროდუქტების დიდი ნაწილი იმპორტირებულია, მაგრამ კლიენტი ღირებულებას მაინც ლარში იხდის. სამშენებლო ბიზნესშიც ზოგიერთი პროდუქტი იმპორტირებულია, მაგრამ საერთო ჯამში უძრავ ქონებას ფასი ლარში უნდა დაედოს. უცებ რომ გამოცხადებულიყო, ხვალიდან ამ წესზე გადავდივართო, მაშინ გასაგები იქნებოდა ასეთი აჟიოტაჟი, მაგრამ ახლა როცა ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ აქამდე, ეს პანიკა გაუგებარია, – აღნიშნა როსტომაშვილმა.

მისი თქმით, თუ ყველა საჭირო პროდუქციას ქვეყანაში ვაწარმოებთ, მათი შეძენა დოლარში აღარ მოგვიწევს და ეს ლარში ფასდადებას ხელს შეუწყობს.

– ეს არის კომპანიის გადაწყვეტილება და მათ ბიზნესგათვლებზეა დამოკიდებული, თუ რა ფასს დაადებს თავის პროდუქციას. თუ დეველოპერი კურსის ცვლილების საფრთხეს ხედავს, მაშინ თადარიგი დაიჭიროს.

კარგი იქნება, რომ სამშენებლო მასალები ქვეყანაში ვაწარმოოთ ისევე, როგორც ცემენტს და არმატურას ვაწარმოებთ. როცა გარკვეული მასალა შემოსატანი გვაქვს და დოლარში ვყიდულობთ, გაძვირებას ეს იწვევს ხოლმე. სამწუხაროდ, საქართველოში ლობიო და ნიორი ეგვიპტიდან შემოგვაქვს. შორეული პერსპექტივაა, რომ ყველაფერი ქვეყანაში ვაწარმოოთ, მაგრამ, ნაბიჯ-ნაბიჯ აქამდე უნდა მივიდეთ, – განმარტა როსტომაშვილმა.

ამასთან, მისივე განცხადებით, ლარში ფასდადების გამო, დეველოპერებმა ხარჯების დაზოგვა შეიძლება დაიწყონ, მაგრამ ეს მშენებლობის ხარისხს არ დასწევს.

– ე.წ. შავ კარკასს ბეტონი და არმატურა სჭირდება. ერთიც და მეორეც კუსტარულად არ კეთდება და ხარისხი მოწმდება, ანუ გამორიცხულია, რომ ფასის გამო ხარისხს დაიწიოს. რაც შეეხება სარემონტო სამუშაოებს, აქ რა თქმა უნდა, დეველოპერს ხარჯების დაზოგვა შეუძლია. თუ მშენებლობა იაფფასიანია, მაშინ სარემონტო მასალებს იაფს გამოიყენებს. თუნდაც მოპირკეთების დროს, ვიღაცა თურქულ ფილას გამოიყენებს, ვიღაც გერმანულს. ეს შენობის მდგრადობაზე გავლენას არ ახდენს, რადგან მთავარია შავი კარკასი იყოს ხარისხიანი, მოპირკეთება და რემონტი უკვე სურვილისა და გემოვნების ამბავია, ვის როგორ უნდა. მსგავს მასალებზე ფულის დაზოგვაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ამით ბიზნესი ან მოიგებს, ან წააგებს, მაგრამ ეს მისი გადასაწყვეტია, – აღნიშნა ირაკლი როსტომაშვილმა.

ჩინეთის ზოოპარკში ვეფხვებს შესაჭმელად ცოცხალი ვირი მიუგდეს

ჩინეთის ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ჩაჩჟოუს ზოოპარკში ვეფხვების ვოლიერში ცოცხალი ვირი შეაგდეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

თვითმხილველთა თქმით, ვეფხვების ვოლიერთან მივიდა სატვირთო მანქანა, საიდანაც წითელ საწვიმრებში გამოწყობილი მამაკაცები გადმოვიდნენ, ვოლიერის დამცავ ღობესთან მიათრიეს ვირი, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევდა და წყლით სავსე თხრილში გადააგდეს. ამის შემდეგ ისინი შეეცადნენ, მტაცებლებისთვის ცოცხალი თხაც გადაეგდოთ, მაგრამ მათ ამაში ხელი დამთვალიერებლებმა და ზოოპარკის დაცვის თანამშრომლებმა შეუშალეს.

ვეფხვები ვირს თავს დაესხნენ და დაგლიჯეს. ამ ინციდენტის მიზეზი გახდა კონფლიქტი დაწესებულების თანამფლობელებს შორის. ერთ-ერთმა დაიქირავა საწვიმრებში გამოწყობილი მამაკაცები, რათა მათ ზოოპარკის ბინადარი ვირი და კიდევ ზოგიერთი ცხოველი გაეყვანათ და გაეყიდათ. როდესაც ისინი დაცვამ შეაჩერა, გადაწყვიტეს, ცხოველები შესაჭმელად ვეფხვებისთვის გადაეყარათ.

თხამ პატრონს ათასი დოლარი შეუჭამა

ინდოეთში თხამ შეჭამა ფულის შეკვრა, რომლითაც ფერმერს აგურები უნდა ეყიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი უტარ-პრადეშის შტატის სოფელ სილუაპურში მოხდა. ფერმერი სარვეშ კუმარ პალი სააბაზანოში შევიდა, ხოლო შარვალი, რომლის ჯიბეში 66 ათასი რუპია (დაახლოებით 1025 დოლარი) ედო, გარეთ დატოვა. სანამ ფერმერი ბანაობდა, მის ტანსაცმელს მშიერმა თხამ მიაგნო.

იმ დროისთვის, როდესაც პალი სააბაზანოდან გამოვიდა, შინაურმა ცხოველმა 29 ცალი თითოეული ორი ათასი რუპიის ღირებულების კუპიურის შეჭმა მოასწრო. მხოლოდ ორი კუპიურა გადარჩა, მაგრამ ისინიც ძალიან არის დაზიანებული. თხის მიერ საკუთარი პატრონისთვის მიყენებულმა ზარალმა 62 ათასი რუპია (დაახლოებით 960 დოლარი) შეადგინა.

მამაკაცებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ფეხებგაჩაჩხული ჯდომა აეკრძალათ

ესპანეთის დედაქალაქის მადრიდის საზოგადოებრივ ტრანსპორტში მეტისმეტად ფეხებგაჩაჩხული ჯდომა აიკრძალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მადრიდის მუნიციპალურმა სატრანსპორტო კომპანიამ განაცხადა, რომ მეტროში, ავტობუსებსა და მატარებლებში გამოჩნდება ნიშნები, რომლებიც მგზავრებს აკრძალვას შეახსენებს. მასზე გამოსახული იქნება ადამიანი, რომელსაც ფეხები იმდენად აქვს განზე გაწეული, რომ მის მიერ დაკავებულ სკამზე ვეღარ ეტევა.

– ახალი ნიშანი იტყობინება, რომ ისეთ პოზაში ჯდომა, რომლითაც სხვებს ხელი ეშლება, აკრძალულია, – განმარტებულია კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ის ასევე მგზავრებს ახსენებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ყოველი მგზავრის პერსონალური სივრცის პატივისცემის თაობაზე.

ქალმა გველს შვილისთვის ჭკუის სასწავლებლად აკბენინა

ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა გველს საშუალება მისცა, მისი გოგონასთვის ეკბინა, რათა ამით მისთვის ეჩვენებინა, რომ რეპტილიასთან მეტი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ბავშვის დედის სახელი უცნობია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალს ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდება წაუყენეს. თავად ქალის განმარტებით, მისი საქციელი იმ მიზანს ისახავდა, რომ ბავშვმა თავი შეიკავოს გარეულ ცხოველებთან შეხებისგან.

პორტუგალიელმა ძაღლს მანქანის საჭე ანდო

პორტუგალიის დასახლება პონტა-დუ-სოლში ქუჩაში გამვლელებმა ვიდეოზე გადაიღეს ძაღლი, რომელიც პიკაპის საჭეს მართავდა.

შინაური ცხოველის მფლობელი მანქანაში იმყოფებოდა და ის სატერფულებს მართავდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბში ადგილობრივი ახალი ამბების პორტალის არხზე გამოქვეყნდა. ერთ დღე-ღამეში ვიდეორგოლი სამი ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანეთში კონსერვატორებმა აბსოლუტური უმრავლესობა დაკარგეს

დიდ ბრიტანეთში გამართული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგად მმართველმა კონსერვატიულმა პარტიამ აბსოლუტური უმრავლესობა დაკარგა.

ამის გამო ის ვერ შეძლებს მთავრობის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას.

კონსერვატორებს თემთა პალატაში 315 ადგილი აქვთ, ლეიბორისტებს – 258. მთავრობის ფორმირებისთვის აუცილებელია მინიმუმ 326 ადგილი.

ლეიბორისტების ლიდერმა ჯერემი კორბინმა პრემიერ ტერეზა მეის გადადგომისკენ მოუწოდა.

ტერეზა მეი გადადგომას არ აპირებს. მან კოალიციური მთავრობის შექმნა გადაწყვიტა, რისთვისაც „ჩრდილოეთ ირლანდიის დემოკრატიულ იუნიონისტურ პარტიასთან“ მოლაპარაკება გამართა.

ამ პარტიას 10 მანდატი აქვს მიღებული.

ჯეიმს კომი: „ტრამპი ჩემზე ზეწოლას ახორციელებდა“

აშშ-ის სენატის წინაშე გფბ-ს ყოფილი დირექტორი ჯეიმს კომი წარდგა.

მან ისაუბრა, თუ როგორ მოიპოვა მისმა სამსახურმა ინფორმაცია არჩევნებში რუსების ჩარევის თაობაზე და როგორ მოახსენა ამის შესახებ პირადად პრეზიდენტ ობამას.

გფბ-ს ყოფილმა დირექტორმა ხაზი გაუსვა, რომ ობამამ მის ინფორმაციაზე ჯეროვანი რეაგირება არ მოახდინა. კომი იმედოვნებდა, რომ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავის პოსტზე დარჩენისა და გამოძიების ბოლომდე მიყვანის საშუალება მიეცემოდა.

– ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, – თქვა მან.

კომიმ განაცხადა, რომ ტრამპი პირადი ერთგულების გამოვლენას სთხოვდა. ეს არჩევნებში რუსების ჩარევასაც შეეხებოდა.

– ტრამპი ჩემზე ზეწოლას ახორციელებდა, – განაცხადა კომიმ.

სენატორების შეკითხვაზე, თუ რით გამოიხატებოდა ეს ზეწოლა, კომიმ მიუგო, რომ პრეზიდენტი სთხოვდა, მისი მრჩევლის მაიკ ფლინისთვის თავი დაენებებინა.

– თქვენი აზრით, ფლინი კანონს არღვევდა?

– ის რუსებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, რისი უფლებაც, არა მგონია, რომ ჰქონოდა, – მიუგო კომიმ.

მან განაცხადა, რომ არჩევნებში რუსების ჩარევას ადგილი ნამდვილად ჰქონდა და ტრამპის ადმინისტრაციის წევრებიც რუსებთან დაკავშირებულნი იყვნენ.

– მსურდა, ყოველივე გამომეძია. პასუხად თანამდებობიდან მომხსნეს, – თქვა კომიმ.

ამასობაში პრეზიდენტ ტრამპის ადვოკატმა მარკ კოსოვიცმა კომის სამსახურებრივი დანაშაული დასდო ბრალად.

კოსოვიცი მიიჩნევს, რომ ამისი სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება არ შეიძლება.

– კომიმ პრეზიდენტთან საუბრების ჩანაწერები თავის მეგობარს გადასცა, ამ უკანასკნელმა კი – პრესას. ამით გფბ-ს ყოფილმა ხელმძღვანელმა სამსახურებრივი დანაშაული ჩაიდინა, გაასაჯაროვა რა ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა, – თვლის კოსოვიცი.

აშშ-ის პრეზიდენტის ადვოკატის აზრით, კომი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს, მის მიმართ კი საქმე აღიძრას.

იაპონიის პარლამენტმა იმპერატორის გადაყენება გადაწყვიტა

იაპონიის პარლამენტმა იმპერატორ აკიჰიტოს ტახტიდან გადადგომის დადგენილება მიიღო. თანახმად კანონპროექტისა, უახლოესი სამი წლის განმავლობაში აკიჰიტომ ტახტი თავის მემკვიდრეს უნდა გადასცეს.

იაპონიის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა პარლამენტმა იმპერატორის ტახტიდან გადადგომას მხარი დაუჭირა.

სირია: ბრძოლები რაქასთვის გრძელდება

ქურთებისა და აშშ-ის მიერ შეიარაღებული სირიელი პარტიზანების რაზმები ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქს უახლოვდებიან. ისინი როგორც ექსტრემისტების, ასევე ასადის მომხრეთა წინააღმდეგობასაც აწყდებიან.

ასადის არმია რაქას აღებას თავად ცდილობს.

აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სირიაში მაკგერკი აცხადებს, რომ რაქასთან ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს. ისლამისტები, ანტიასადელი პარტიზანები, ქურთები და ასადის მომხრეები ერთმანეთს სასტიკად დაუპირისპირდნენ.

– ბრძოლა რაქასთვის ხანგრძლივი და სისხლიანი იქნება, – ამბობს მაკგერკი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რას ნიშნავს მამაკაცის რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ეკა ირემაშვილი

მამაკაცის ჯანმრთელობის პრობლემებზე საუბრისას განიხილება როგორც უშვილობა, ასევე სექსუალურობა და მასთან დაკავშირებული ესა თუ ის დარღვევა.

რას ნიშნავს მამაკაცის რეპროდუქციული ჯანმრთელობა, რას უნდა მიექცეს ყურადღება და როდის ისმება უშვილობის დიაგნოზი? – ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-ემბრიოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი თინათინ სუპატაშვილი საუბრობს.

თინათინ სუპატაშვილი:

– მამაკაცის ჯანმრთელობის პრობლემებზე საუბრისას განიხილება როგორც უშვილობა, ასევე სექსუალურობა და მასთან დაკავშირებული ესა თუ ის დარღვევა.

მამაკაცს შეუძლია ჰქონდეს სრულფასოვანი სექსუალური ურთიერთობები საპირისპირო სქესის პარტნიორთან და იყოს მოკლებული განაყოფიერების უნარს ან, პირიქით, ჰქონდეს განაყოფიერების უნარი სქესობრივი აქტის განხორციელების სერიოზული პრობლემებით.

ასე რომ, უშვილობა და სექსუალური დარღვევები ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია.

– როდის ისმება უშვილობის დიაგნოზი?

– უნაყოფობა საყურადღებოა ქალისა და მამაკაცის დაუცველი რეგულარული სქესობრივი თანაცხოვრების დროს. თუ ქალის ასაკია <34, ვიზიტი ექიმთან საჭიროა 1 წლის შემდგომ, თუ ქალის ასაკია >35, ვიზიტი ექიმთან საჭიროა 6 თვის შემდგომ, თუ ქალის ასაკია >39, ვიზიტი ექიმთან საჭიროა 3 თვის შემდგომ.

ვინაიდან უშვილობის დიაგნოზის დასასმელად ან გამოსარიცხად აუცილებელია როგორც ქალის, ისე მამაკაცის გამოკვლევა, წყვილმა უნდა მიმართოს შემდეგი პროფილის ექიმებს: ანდროლოგ-უროლოგს მამაკაცმა, რეპროდუქტოლოგს ქალმა ან ემბრიოლოგს.

წყვილის უშვილობის შემთხვევათა 40% მიზეზი ქალია, 40% მამაკაცი, ხოლო უშვილობის შემთხვევების 20% აუხსნელი გენეზის რჩება.

– რა შეიძლება იყოს მამაკაცის უშვილობის მიზეზი?

– მამაკაცის უშვილობის მიზეზი შეიძლება იყოს სათესლე ჯირკვლების ვენების გაგანიერება – ვარიკოცელე, სათესლე სითხის – სპერმისა და სასქესო უჯრედების – სპერმატოზოიდების გამომუშავების დარღვევა, გენეტიკური განწყობა – უშვილობის ხშირი შემთხვევები ახლო ნათესავებში, ხანდაზმულობა, სათესლე სადინარების გადაკეტვა ოპერაციის მეშვეობით – ვაზექტომია, უშვილობის გამომწვევი მიზეზი უცნობი რჩება შემთხვევათა 20%-ში.

„უმიზეზო უშვილობის“ ერთ-ერთ გამომწვევად, სავარაუდოდ, მიიჩნევენ ფსიქოემოციურ დატვირთვას: მუდმივი სტრესი და დაძაბულობა ანუ უშვილობა იწვევს სტრესს და სტრესი, თავის მხრივ, იწვევს შვილოსნობის უნარის დაქვეითებას როგორც ქალში, ისე მამაკაცში.

ექიმის კონსულტაცია საჭიროა, რათა დროულად ჩატარებული კვლევა დაეხმაროს წყვილს, სწორად წარმართოს ურთიერთობა, თავიდან აიცილოს შვილის ყოლის გახანგრძლივებული მოლოდინით გამოწვეული ნერვიულობა და საჭიროების შემთხვევაში ჩაიტაროს მკურნალობა.

ზუბალაშვილების ქუჩაზე ისტორიული სახლი ინგრევა

თბილისში ძველი სახლების ნგრევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ძეგლის სტატუსის მქონე შენობები უმძიმეს მდგომარეობაშია და მათ სასწრაფო გამაგრება ესაჭიროებათ.

ახალგაზრდა მხატვარი ანტონ ბალანჩივაძე ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე სახლის ფოტოებს აქვეყნებს და შესაბამის ორგანოებს დროული რეაგირებისკენ მოუწოდებს:

– ეს სახლი დგას ზუბალაშვილების ქუჩაზე, სამხატვრო აკადემიასთან. ბევრმა იცის, რა თქმა უნდა, მაგრამ შიგნით ხალხი აგრძელებს ცხოვრებას. არადა სახლი ძლივს დგას, იმდენად სავალალო მდგომარეობაშია. ერთ-ერთმა მცხოვრებმა მითხრა, რომ ვინაიდან სახლი ძეგლია და „დაცულია“, დანგრევის უფლება არ გვაქვსო, ამის გამო არც იყიდება, მაგრამ ვერც ანგრევენ.

როგორც გავიგე, 50-მდე კაცი ცხოვრობს შიგნით... ჰოდა, სანამდე საბოლოოდ ჩაიქცა ეს სახლი, იქნებ ვინმემ მიაქციოს ყურადღება.

სამართლებრივი დეტალები ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ვისაც ეხება, აქ თუ ნახა, იქნებ დააჩქაროს გადაწყვეტილება, რომელსაც ელოდება ეს ხალხი ამდენი ხანია. სანამ რამე მომხდარა...

კალეიდოსკოპი

ტაილანდელი ელექტროხაზიდან ფულიანი ტომრის ჩამოხსნის მცდელობას ემსხვერპლა

ტაილანდის პროვინცია პარაჩინბურის მცხოვრები დენის დარტყმამ იმ დროს იმსხვერპლა, როდესაც ის ელექტროგადამცემი ხაზიდან ფულიანი ტომრის ჩამოხსნას ცდილობდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

20 წლის რატჰაუატ ფანომფამ მეუღლესთან ერთად სპეციალური კალათიანი ავტოამწე დაიქირავა და ბამბუკზე დამაგრებული კაუჭის დახმარებით გეგმავდა ტომრის ჩამოხსნას, მაგრამ ამწემ, ახალგაზრდა მამაკაცის აწევის დროს, კალათი ელექტროგადამცემ ხაზს გამოსდო, რის შედეგადაც მან დენის სასიკვდილო დარტყმა მიიღო. გავრცელებული ინფორმაციით, ადგილობრივი მცხოვრებლები ფიქრობდნენ, რომ ტომარაში თითქმის 10 ათასი ბატი (დაახლოებით 290 დოლარი) იდო. ის მიბმული იყო საჰაერო ბუშტებზე, რომლებიც ელექტროგადამცემ ხაზს გამოედო. აღსანიშნავია, რომ ტომარა გამობმული საჰაერო ბუშტებით ჰაერში სამი თვის წინ ბუდისტური დღესასწაულის პატივსაცემად გაუშვეს.

ფანომფა პირველი არ ყოფილა, რომელმაც ფულიანი ტომრის ელექტროგადამცემი ხაზიდან ჩამოხსნა სცადა. ტრაგედიის დღეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სპეციალისტები გაგზავნა ტომრის მავთულებიდან ჩამოსახსნელად. საბოლოოდ გაირკვა, რომ მასში დაახლოებით 26 დოლარის თანხა იდო.

ლეონარდო დი კაპრიომ მექსიკის პრეზიდენტი ზღვის ღორებისთვის დახმარებაზე დაითანხმა

მსახიობმა ლეონარდო დი კაპრიომ, მექსიკის პრეზიდენტმა ენრიკე პენია ნიეტომ და მექსიკელმა მილიარდერმა კარლოს სლიმამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კალიფორნიული ზღვის ღორების დაცვის თაობაზე.

შეთანხმების თანახმად, მექსიკა სრულად აკრძალავს ე.წ. ლაყუჩების ბადეების თევზის რეწვაში გამოყენებას კალიფორნიის ყურის ჩრდილოეთ რაიონში. გარდა ამისა, დი კაპრიოს და სლიმას ფონდები ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენენ მექსიკის იმ რეგიონებს, რომლებიც ამ აკრძალვის გამო დაზარალდებიან და თევზის ჭერის სხვა მეთოდების განვითარებას დააფინანსებენ.

ლაყუჩების ბადეები გამოიყენება ზღვის თევზის ტოტოაბას მოსაპოვებლად, რომელიც ჩინეთში დელიკატესად ითვლება. სწორედ ეს წარმოადგენს კალიფორნიული ზღვის ღორების პოპულაციის შემცირების უმთავრეს მიზეზს. შავ ბაზარზე ტოტოაბას ერთ კილოგრამ საცურაო ბუშტში ათასობით დოლარს იხდიან. ამიტომ ადრინდელმა მცდელობებმამ შეეზღუდათ თევზჭერის აღნიშნული მეთოდი, შედეგი ვერ გამოიღო.

მელანი ტრამპი მალე თეთრ სახლში გადაბარგდება

აშშ-ის პირველი ლედი მელანი ტრამპი, რომელიც ჯერ არ შეერთებია თეთრ სახლში თავის მეუღლეს, სახელმწიფოს მეთაურს დონალდ ტრამპს, ვაშინგტონში ის 14 ივნისს გადავა.

აღსანიშნავია, რომ ახლა უკვე, როდესაც ტრამპების 11 წლის შვილმა ბერონმა სასწავლო წელი დაასრულა, მელანი მასთან ერთად გადავა ვაშინგტონში, პრეზიდენტის რეზიდენციაში.

დედაქალაქში მათთან ასევე ხშირად ჩავლენ სტუმრად მელანის მშობლები, რათა თავიანთი შვილიშვილი მოინახულონ.

შეგახსენებთ, რომ დონალდ ტრამპის ინაუგურაცია მიმდინარე წლის 20 იანვარს გაიმართა. ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისთანავე გადავიდა ვაშინგტონში, ხოლო მელანი 11 წლის ბერონთან ერთად ნიუ-იორკში დარჩა, რათა ბავშვს სასწავლო წელი თავის სკოლაში დაესრულებინა. ასე რომ, წყვილმა ცალ-ცალკე თითქმის ნახევარი წელი იცხოვრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

თემურ ქეცბაია: „ორენბურგში ქართულ ფეხბურთს ვერ დაგპირდებით“

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი თემურ ქეცბაია სამწვრთნელო ჯახიერას ხუსეთში ხომ აგრძელებს, ცნობილი ამბავია. ქართველი სპეციალისტი ჰრემიერლიგიდან წელს დაქვეითებულ ორენბურგს განვითნის. ქეცბაიას ინტერვიუ ხუსეი მედიაში გამოქვეყნდა.

– ორენბურგში თქვენი დანიშვნა მოულოდნელი იყო. როგორ დათანხმდით ამ ვარიანტს?

– ცხოვრება მოულოდნელობებითაა აღსავსე, მაგრამ თუკი მოულოდნელობა სასიამოვნოა, ამას რა სჯობს. ტელეფონით დამიკავშირდა კლუბის პრეზიდენტი, მთხოვა ჩასვლა და შესაძლო სამსახურთან დაკავშირებით დალაპარაკება. დავთანხმდი, განვიხილეთ ყველა საკითხი და ერთმანეთს ხელიც ჩამოვართვით.

– რა ამოცანა გაქვთ დასახული?

– ცხადია, პრემიერლიგაში დაბრუნება – ეს სურვილი ამოვიკითხე ორენბურგის ხელმძღვანელთა თვალებში. ახლა ერთიანი ძალებით ვიზრუნებთ მიზნის შესრულებაზე. იოლი არ იქნება, მაგრამ გუნდს ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ დასახულ ამოცანას თავი გაართვას. კლუბისა და ჩემი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა.

– ორენბურგში ცვლილებები იქნება?

– რა თქმა უნდა. გუნდი ელიტიდან გავარდა და გასაგებია, რომ შემადგენლობა შეიცვლება. თუმცა, ჩვენ გუნდის ბირთვის შენარჩუნება გვსურს, რაც გაგვიიოლებს პრემიერლიგაში დაბრუნების ამოცანას. რუსეთის პირველი ლიგა დიდი ჩემპიონატია, ბევრი კლუბით. ამიტომ აუცილებელია, კარგად ვიმუშაოთ, რომ ორენბურგის შემადგენლობა გაძლიერდეს.

– კონტრაქტის ხანგრძლივობა როგორია?

– ერთწლიანია და თუკი ამოცანა გადაიჭრება, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება.

– რამდენი დღე დაგჭირდათ მოსაფიქრებლად?

– 2 დღე. საკმაოდ სწრაფად დავთანხმდი, მაგრამ გაჭიანურება აღარ შეიძლებოდა. ახალი სეზონის დაწყებამდე 40 დღეზე ნაკლები რჩება და მოსამზადებლად არცთუ დიდი დროა. ამიტომ ძვირფასი დღეების დაკარგვას მოვერიდეთ. მნიშვნელოვანია, რომ ჩემპიონატის სტარტისთვის გუნდი 70-80 პროცენტით ჩამოყალიბებული იყოს. სატრანსფერო ფანჯარა აგვისტოს ბოლოს იხურება და ზაფხულში მოვასწრებთ კიდეც ფეხბურთელთა მოწვევას, თუკი დაგვჭირდება.

– ორენბურგის გაწვრთნაში ვინ დაგეხმარებათ?

– არიან ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ჩემთან. ხელმძღვანელობასთან განვიხილავთ და გამოვაცხადებთ.

– გუნდის თამაში გინახავთ?

– რუსულ ფეხბურთს ვიცნობ, პრემიერლიგას სიამოვნებით ვუყურებ. ორენბურგის 4 მატჩის ნახვა შევძელი და ფეხბურთელებზე წარმოდგენა შემექმნა. ახლა უფრო ახლოს უნდა გავიცნო...

– რუსეთის პირველ ლიგაში ლიმიტი ლეგიონერებზე უფრო მკაცრია. მზად ხართ ამისთვის?

– დიახ. მხოლოდ 3 შეუძლია მოედანზე გასვლა და კიდევ 2 – სათადარიგოთა შორის ყოფნა. ვნახავთ, ვინ დარჩება გუნდში და ვინ წავა. ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაირკვეს.

– გიმუშავიათ კვიპროსსა და საბერძნეთში, სადაც ქალაქებს შორის მანძილი პატარაა. ახლა კი წინ მრავალსაათიანი ფრენები გელით. არ გეშინიათ?

– სირთულეების არ მეშინია! მთავარია, რომ ორენბურგში გაიგეს პრემიერლიგის გემო და ელიტაში დაბრუნება სწყურიათ. კლუბი ყველაფერს გააკეთებს ამისთვის, მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა კი შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.

– თქვენს კარიერაში იყო ჩემპიონის ტიტულები, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა. ახლა კი პირველი ლიგა გელოდებათ.

– მართალია... ცხოვრებაში პირველად მომიწევს ამ დონეზე მუშაობა. ეგ არაფერი. მინდა აქაც გავიმარჯვო. ჩვენ ჩემპიონატი უნდა მოვიგოთ და ჩვენი მიზანი არა მხოლოდ პრემიერლიგაში დაბრუნება, პირველი ადგილის დაკავებაა!

– როგორი სტილის ფეხბურთს ითამაშებს თქვენი გუნდი?

– ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. რა თქმა უნდა, ყველას გვინდა შემტევი ფეხბურთის ნახვა, მაგრამ ჯერ უნდა გავიცნო ბიჭები და გავიგო, რა შეუძლიათ. მთავარი ხომ შედეგია?! ვითამაშებთ ისეთ ფეხბურთს, რომელიც პრემიერლიგაში აგვიყვანს.

– მაშ შეიძლება ლაღი ქართული ფეხბურთი ვერც ვიხილოთ?

– რა თქმა უნდა, შემიძლია შეგპირდეთ, რომ ორენბურგი ასე ითამაშებს, მაგრამ არ მინდა სიტყვები უბრალოდ ჰაერზე ვისროლო. გასახარი იქნება, თუკი გუნდი ქულებს სანახაობრივი თამაშით მოიპოვებს. ერთია პრემიერლიგაში თამაში და სხვა – პირველ ლიგაში. დაცვიდან თამაში, რომელსაც ორენბურგი გასულ სეზონში მიმართავდა, პირველ ლიგაში არ გამოგვადგება. აქ შეტევაა საჭირო და ამისთვის კარგი ფეხბურთელები აუცილებლად გვჭირდება.

საქართველო ელიტაში დარჩენას არგენტინით დაიწყებს

საქართველო-საფრანგეთი 0:54

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებს ამოცანა თითქმის არ ჰქონდა, ამიტომ მწვრთნელებმა ნახევარზე მეტი გუნდი შეცვალეს და ძირითადი ბირთვი დაასვენეს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საფრანგეთმა იოლად, 54:0 მოგვიგო და მე-9 ადგილის ნახევარფინალში ნაცნობი არგენტინა გვარგუნა.

მეტოქემ დებიუტშივე დადო 3 ლელო და 21:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ბურთზე კონტროლი დაამყარეს და 20 წუთი მეტოქის ნახევარზე, უმეტესად ფრანგთა 22-ში გაატარეს. რამდენჯერმე ლელომდე ერთი ხელის გაწვდენა რჩებოდა, მაგრამ საბოლოო დარტყმა ვერ განხორციელდა და ტაიმის მიწურულს ფრანგებმა მე-4 ლელოც დადეს.

ამით მათ პირველი რიგის ამოცანა – გამარჯვება და პრემიალური ქულის აღება გადაჭრეს, თუმცა გატანილ-გაშვებული ქულათა უკეთესი ბალანსისთვის ბოლომდე იბრძოლეს და შესვენების შემდეგ კიდევ 4 ლელო დადეს – 54:0.

ილია მაისურაძე, უმცროსი ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი:

– ვიცოდით, რომ ჯგუფში ბოლო ადგილს ვერ ავცდებოდით და ამ თამაშისთვის გუნდი გადავახალისეთ. გათვლა მე-4 თამაშზე კეთდებოდა და გვსურდა, რომ სათამაშო დრო ყველა მორაგბისთვის მიგვეცა. გაირკვა, რომ მეოთხე თამაში არგენტინის ნაკრებთან გვექნება, რომელიც სამხრეთ აფრიკასთან დიდი სხვაობით დამარცხდა. ფრანგებთან აქცენტი დაცვაში თამაშზე გაკეთდა. წინა 2 მატჩში მჭიდროდ ვთამაშობდით და ამის გამოსწორება გვსურდა, თუმცა კვლავ გაფუჭდა ბოჭვები, შევსება აგვიანებდა, ბევრი შეცდომა დავუშვით და ფრანგებმა ტემპს რომ უმატეს გაგვიჭირდა. მეტოქემ ყველა კომპონენტში გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა. შეტევაში ბურთი უნდა დაგვეჭირა და როდესაც ამას ვახერხებდით მომენტებიც გვქონდა, თუმცა ვაგვიანებდით გადაწყობას და უპირატესობის ხაზის გადაკვეთა ვერ ხერხდებოდა. ახლა ენერგია უნდა აღვიდგინოთ და არგენტინასთან გასამართი მატჩისთვის მოვემზადოთ. მათ სამივე შეხვედრა პრაქტიკულად ერთი და იმავე შემადგენლობით ჩაატარეს, ჩვენ დღეს ცვლილებები გვქონდა და ეს აღდგენაში დაგვეხმარება. დეტალურად გავივლით ჩვენი და არგენტინის პირველ მატჩს, ასევე მეტოქის მომდევნო ორ შეხვედრას თამაშს ამის მიხედვით დავგეგმავთ.

არგენტინა-საფრიკა 14:72

სამხრეთ აფრიკამ 11 ლელო დაუდო მეტოქეს და დიდი ანგარიშით გაანადგურა, რაც ცოტა არ იყო მოულოდნელიც კი აღმოჩნდა, რადგან არგენტინელებმა წინ მსოფლიო თასზე მე-3 ადგილი დაუკავეს და სწორედ აფრიკელებს მოუგეს გადამწყვეტი მატჩი.

არგენტინელებმა კი ასეთი სხვაობით წაგებით ისიც „მოახერხეს“, რომ უარესი მე-3 ადგილი დაიკავეს და ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლაში პირველი მატჩი ქართველებთან ელით.

საბოლოო ცხრილი:

1.ს.აფრიკა	3	2	1	0	133:51	12
2.საფრანგეთი	3	2	1	0	103:48	11
3.არგენტინა	3	1	0	2	76:124	6
4.საქართველო	3	0	0	3	40:129	0

ბ ჯგუფში შოტლანდია იტალიას შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 17:16 დაამარცხა. იტალიელები უშანსოდ არ ყოფილან. მეტიც, იგებდნენ კიდეც 16:12, მაგრამ ჯერ ლელო მიიღეს, ბოლო წუთზე კი ჯარიმის დარტყმაზე უარი თქვეს, ლელოზე ითამაშეს და მომენტიც გაანიავეს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯარიმა 40 მეტრიდან და მახვილი კუთხიდან იყო. ერთია, დროის გამო გარისკვად ღირდა.

შოტლანდიელებმა მეტოქეს 3 ლელო დაუდეს. გამოირჩნენ რობი ნერნი, ქრეიგ ფილპოთი და თომას დოდი. ქონორ ისთგეითმა კი ერთი გარდასახვა გაიტანა.

იტალიელთა მხრიდან ლელოე მარკო ძანონმა დადო. ანტონიო რიციმ სამი ჯარიმა და ერთი გარდასახვა გაიტანა.

ამავე ჯგუფში ახალმა ზელანდიამ ირლანდია ანგარიშით 69:3 გაანადგურა. „ბეიბი ბლექსმა“ 11 ლელო დადო. საკუთარ ანგარიშზე 3-3 ლელო ვილ ჯორდანმა და ქეილებ კლარმა ჩაიწერეს.

საბოლოო ცხრილი:

1.ა.ზელანდია	3	3	0	0	179:49	15
2.შოტლანდია	3	2	0	1	69:86	9
3.იტალია	3	1	0	2	64:106	6
4.ირლანდია	3	0	0	3	52:123	2

ა ჯგუფში უელსმა სამოა ანგარიშით 54:20 დაამარცხა. უელსიდან 3 ლელო ანგარიშზე შეინ ლუის-ჰიუზმა ჩაიწერა. თითო-თითო ლელო ჯარედ როსერმა, ალედ ვორდმა, ოუენ ჰიუზმა, დეინ ბლექერმა, ვილიამ გრიფითსმა და ჯოზეფ გუდჩაილდმა დადეს. ჯონ ფილ ჯოუნსმა 4 გარდასახვა გაიტანა, ხოლო არველ რობსონმა – 3.

სამოადან ლელო ალექს პოლა-მარიმ და სეტუ ენოკამ დაამიწეს. რიკი ენემ ორი ჯარიმა და ორი გარდასახვა გაიტანა.

ჯგუფის ბოლო მატჩში ავსტრალიისა და ინგლისის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. ინგლისელებმა 20:19 გაიმარჯვეს. მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა, ხან ერთი გუნდი იგებდა და ხანაც მეორე. ამასთან, ნახევარფინალში თამაშის ბედი წყდებოდა. საბოლოოდ, ეს ინგლისელებმა უკეთ გადაჭრეს.

საბოლოო ცხრილი:

1.ინგლისი	3	3	0	0	128:58	14
2.ავსტრალია	3	2	0	2	76:64	10
3.უელსი	3	1	0	2	93:78	6
4.სამოა	3	0	0	3	63:161	1

ამრიგად, მსოფლიოს თასის ნახევარფინალური წყვილები ცნობილია: ინგლისის ნაკრები სამხრეთ აფრიკის ნაკრებს შეხვდება, ხოლო ახალი ზელანდია – საფრანგეთს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

